ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ოთხშაბათი, 29 იანვარი, 2020 №23 (8287) ფასი: 60 თეთრი

„თემირლან მაჩალიკაშვილმა ცადა, საბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანა ხელყუმბარა, რის გამოც მას სპეცრაზმელმა ესროლა“

პროკურატურამ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე გამოძიება შეწყვიტა

გვ.5



28 იანვრიდან

ბიბლიური იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი



„ირაკლი ღარიბაშვილს პრემიერად ამზადებენ“

გვ.4

ლადო სადღობელაშვილი: „იზორიას წასვლა არ გამიკვირდა“

ეკა გიგაური: „ოცნების“ განცხადებები ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის უსიამოვნო მოსასმენია“

გვ.3

„დარწმუნებული ვარ, „ოცნების“ მხრიდან ომბუდსმენზე თავდასხმაზე დასავლეთისგან რეაგირება იქნება“

ლევან ალაფიშვილი: „ვინც ჩაატარა სპეცოპერაცია, იმანვე გამოიძია საქმე?“

„პროკურატურის მიერ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის შეწყვეტა ახალ კითხვებს წარმოშობს“

გვ.3

ანზორ აბრალავა: „ქვეყნის მართვის სისტემაში ქუჩის სტილი შემოიტანეს“

„ნაცებსა და ევრონაცებს უნდათ, საკუთარი გეგმები სხვებსაც მოაწონონ“

გვ.4

გვ.3

ვახტანგ გომელაური: „დანაშაულის აღმოჩენის შემთხვევაში თანამშრომელს მტკიცებულებები გენინსპექციაში ან პროკურატურაში უნდა ნაელო“

გვ.2

„ამერიკის კონგრესს შეუძლია, საქართველოს მთავრობას ცხოვრება გაურთულოს“

რობინ შეპარდი: „კარგი ის არის, რომ აშშ-ის ხელისუფლებაში საქართველოზე ფიქრობენ“

ISSN 1987-9385

2 ლევან იზორია დაზვერვის უფროსობიდან მოხსნეს და გერმანიაში ელჩად უშვებენ

2 „ქართულ ოცნებაში“ მიხეილ ქარელს გორის მაჟორიტარობის კანდიდატად განიხილავენ

5 თბილისში „სპარის“ თანამშრომელ ბ.კ.-ს დაჭრისთვის ლ.ს. დააკავეს

6 თურქეთში მინისძვრის შემდეგ 1.000-მდე განმეორებითი მინისქვეშა ბიძგი დაფიქსირდა

„ამერიკის კონგრესს შეუძლია, საქართველოს მთავრობას ცხოვრება გაურთულოს“

რობინ შეპარდი: „კარგი ის არის, რომ აშშ-ის ხელისუფლებაში საქართველოზე ფიქრობენ“

რა მნიშვნელობა აქვს აშშ-სა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობების ფარგლებში კრიტიკულ წერილებს? – ამის შესახებ „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ია მეურმიშვილი ჰალიფაქსის საერთაშორისო უსაფრთხოების ფორუმის ვიცეპრეზიდენტ **რობინ შეპარდს** ესაუბრა.

– რას ფიქრობთ კონგრესმენების მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრისთვის გაგზავნილ წერილებზე, ქართველებმა ისინი სერიოზულად უნდა აღიქვან?

– კი. ისინი ამ წერილებს უნდა მიესალმონ კიდეც. შეერთებული შტატები გლობალური ძალაა და სამყაროს გლობალური ძალის ლინზით უყურებს. ძალიან რთულია ამერიკაში ერთ კონკრეტულ საკითხზე წარმომადგენელთა პალატის, სენატის, პოლიტიკური ისტებლიშმენტის ყურადღების მიქცევა. ის ფაქტი, რომ კონგრესის ოთხმა წევრმა საქართველოს წერილი გაუგზავნა – ორი თვით ადრე კიდევ იყო მსგავსი წერილი – იმას ნიშნავს, რომ კონგრესში საქართველოზე ფიქრობენ.

ამერიკა საქართველოს პრობლემებს ვერ გადაუჭრის, ეს თვითონ საქართველომ უნდა გააკეთოს, მაგრამ ამერიკას შეუძლია, საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადოს ან ღირებულებების თანხვედრაზე განცხადება გააკეთოს საერთაშორისო ფორუმებზე.

ამერიკის კონგრესს უკიდურესად გავლენიანი რეზოლუციების მიღება შეუძლია. ეს წერილები კარგის ნიშანია იმიტომ, რომ ისინი მიუთითებს იმაზე, რომ ამერიკის კონგრესში ადამიანები საქართველოზე ფიქრობენ და მას ყურადღებას აქცევენ.

საქართველოზე ბევრი მნიშვნელოვანი ადამიანი ფიქრობს. კონგრესის წერილებთან ერთად, დეკემბერში სახელმწიფო დეპარტამენტმა გააკეთა კრიტიკული განცხადება, ევროკავშირმაც იგივე გააკეთა. მსოფლიო ვერ წამოხტება ერთ დღეს და საქართველოს ყველა პრობლემას ვერ მოუგვარებს, მაგრამ ხალხი საქართველოზე ფიქრობს და მას აკვირდება. ეს კარგის ნიშანია.

– არა მგონია, მთავრობა ამაში დაგეთანხმოთ.

– საქართველოს მთავრობა? ეს იმიტომ, რომ მას აკრიტიკებენ. ამას კი თავის მიზეზები აქვს. საქართველოს მთავრობა კანონის უზენაესობას ასუსტებს, პრესაზე იყო ზეწოლა, გაურკვეველია დამოკიდებულება რუსეთთან, რომელიც საქართველოს ოკუპაციას აგრძელებს. თუ ასე იქცევი, ამას სამართლიანად კრიტიკაც მოჰყვება. შეიძლება ისინი გაბრაზდნენ იმაზე, რომ ვიღაცა აკრიტიკებთ, მაგრამ მეტი ყურადღება იმაზეა მისაქცევი, თვითონ რას აკეთებენ.

– მთავრობა ამბობს, რომ ვაშინგტონში არასწორი ინფორმაცია ჩადის და რომ ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი ამერიკელებს დამახინჯებულ ინფორმაციას აწვდიან. ამ მოსაზრებაზე რას ფიქრობთ?

– პირველ რიგში, ის მთავრობები, რომლებიც „ცუდად იქცევიან,“ ყოველთვის იმას ამბობენ, რომ მათი ადგილობრივი ოპონენტები ქმნიან პრობლემებს და საერთაშორისო დონეზე ამ კრიტიკას იწვევენ. ისინი საკუთარ მოქმედებებს არასოდეს აფასებენ.

მაგალითად პროპორციული სისტემა რომ მოვიყვანოთ. საქართველოში მოსახლეობის უკმაყოფილება იზრდება. ხალხის დიდი ნაწილი უკმაყოფილოა. ამ უკმაყოფილების ჩასაცხრობად მთავრობამ პირობა დადო, რომ 2020 წლის არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდებოდა. შემდეგ მთავრობა გამოვიდა და ეს დაპირება უკან წაიღო.

ეს ოპოზიციას არ გამოუგონია. ეს რეალობაა. იგივე ხდება მოსამართლეებთან დაკავშირებითაც. სასამართლოს კონტროლი ზოგადად ნეოავტორიტარიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს პუტინის სახელმძღვანელოა – აკონტროლე სასამართლო, დისკრედიტაცია გაუკეთე არასამთავრობო სექტორს, შეზღუდე მედია.

ამერიკის საელჩო, ამერიკული არასამთავრობოები საქართველოში ხედავენ, რა ხდება. მათ არ სჭირდებათ ოპოზიციის იმედზე ყოფნა იმისთვის, რომ ინფორმაცია მიიღონ. ისინი არანაკლებ ინფორმაციას აწვდიან ამერიკელ პოლიტიკოსებს. იმის თქმა, რომ ამას მხოლოდ ოპოზიცია აკეთებს, უბრალოდ არასწორია.

– ოპოზიციას მიაჩნია, რომ საქართველოს იმიჯი დაზიანდა და ეს გრძელვადიანი ზიანია. თქვენი აზრით, საქართველოს რეპუტაცია შეილახა?

– ჩემი აზრით, საქართველოს გარეთ ხალხი ხედავს, რომ ქვეყანაში რაღაცა პრობლემური ხდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს რეპუტაცია შეილახა. მე ასე შორს არ წავიდოდი. საქართველოზე ხელი არავის ჩაუქნევია. უკმაყოფილება არა საქართველოს, არამედ საქართველოს მთავრობისკენაა მიმართული. არავინ აკრიტიკებს ქართველ ხალხს, არავინ ამბობს, რომ ქართველმა ხალხმა ვერ შეძლო დემოკრატიის აშენება. თუ ვინმეს რეპუტაცია ილახება, ეს მთავრობის რეპუტაციაა და არა – ქვეყნის.

– „ქართული ოცნების“ წევრებისა და მხარდამჭერებისგან გაისმა განცხადებები, რომ წერილი არ არის მნიშვნელოვანი, რადგან მას 435-წევრიანი კონგრესიდან მხოლოდ 4 კონგრესმენი აწერს ხელს. რას ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს წერილები?

– ის მართალია, რომ კონგრესში 435 წარმომადგენელია და სენატში 100 სენატორი. ამ რაოდენობიდან 4 ადამიანი მათემატიკურად ნამდვილად არ არის დიდი რაოდენობა. ფაქტი ისაა, რომ ამერიკის კონგრესი წარმოუდგენლად ბევრ საკითხზე მუშაობს, როგორც შიდა პოლიტიკის, ასევე საგარეო ურთიერთობების მხრივ.

ამ 4 კონგრესმენს კოლეგები ჰყავს, ისინი კომიტეტების წევრები არიან და ამ თემებზე კომიტეტებში საუბრობენ. ეს პირველი ნაბიჯია. ისინი ამას პირდაპირ არ ამბობენ, მაგრამ ამ წერილების გაგზავნით ხაზს უსვამენ, რომ საქართველოს გაფრთხილება მიეცა. ეს იმის ნიშანია, რომ ადამიანებმა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ სხვაგანაც დაინახონ, რომ ამერიკა საქართველოს ყურადღებას აქცევს და თუ გადაწყვიტეს, რომ ეს გზავნილი გაამკაცრონ, შეუძლიათ, უფრო მეტიც გააკეთონ.

– და ეს რა იქნება?

– ადამიანებს ავიწყდებათ, რომ კონგრესი უკიდურესად გავლენიანი ორგანოა. თუ კონგრესმა რაღაცა გადაწყვიტა და ეს ერთხმად მიღებული გადაწყვეტილება იქნება, მას პრეზიდენტიც კი ვერ ადებს ვეტოს.

საკანონმდებლო პროცესი ესკალატორს ჰგავს. წერილის დაწერა ესკალატორის პირველი საფეხურია. თუ ვითარება გაუარესდა, კონგრესს აქვს ბერკეტები იმისთვის, რომ საქართველოს მთავრობას ცხოვრება გაურთულოს.

ლევან იზორია დაზვერვის უფროსობიდან მოხსნეს და გერმანიაში ელჩად უშვებენ

საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი ლევან იზორია თანამდებობას ტოვებს.

იზორიას განმარტებით, ის გერმანიაში სრულუფლებიან ელჩად განაგრძობს საქმიანობას.

მისი განცხადებით, აღნიშნულის შესახებ ჯერ კიდევ დეკემბერში გადაწყდა.

– ჯერ კიდევ დეკემბერში გადაწყდა ჩემი მოღვაწეობის გაგრძელება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, როგორც სრულუფლებიანი ელჩის. მე ამ წინადადებას სიამოვნებით დავთანხმდი. დეკემბერშივე დაიწყო შიდა პროცედურები და ჩვენ, იანვრის დასაწყისში, გვქონდა გაცხადებული იმასთან დაკავშირებით, რომ 27 იანვარს დავწერდი გათავისუფლების შესახებ განცხადებას, რათა გარკვეული დროც მქონოდა პირადი, ან ოჯახური საკითხების მოსაგვარებლად.

მათ შორის, აგრემანზე მოთხოვნაა გაგზავნილი, რომელსაც თებერვლის შუა რიცხვებში ველოდებით. სავარაუდოდ, სწორედ თებერვლის მიწურულს იგეგმება ჩემი იქ ჩასვლა და ჩემი, როგორც ელჩის, რანგში მოღვაწეობის გაგრძელება, – განაცხადა იზორიამ „პოსტივის“ ეთერში.

შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის განცხადებით, დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელ ლევან იზორიას გერმანიის ფედერაციაში საქართველოს ელჩად დანიშვნის საკითხი 1 თვის წინ გადაწყდა.

როგორც გომელაურმა ჟურნალისტებს განუცხადა, იზორიას ელჩად დანიშვნა პოლიტიკას არ უკავშირდება.

– როგორც მე ვიცი, დაახლოებით ერთი თვის წინ იყო გადაწყვეტილი ბატონი ლევანის გერმანიაში ელჩად წასვლა. რატომღაც ახლა, ასე დაემთხვა, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ლევან იზორია საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე 2019 წლის სექტემბერში დაინიშნა.

ზურაბიშვილი: „საქართველო მზადაა, უმასპინძლოს რუსეთის დელეგაციას თბილისში“

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ საქართველო მზადაა, უმასპინძლოს რუსეთის დელეგაციას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, რომელიც თბილისში გაიმართება. მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ დელეგაციის წევრებს დარღვეული აქვთ საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, ქვეყანა მათ მაინც მიიღებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ მოსწონს რუსეთის ხელისუფლების დეკლარირებული პოლიტიკა, ის პატივს სცემს საკუთარ საერთაშორისო ვალდებულებებს.

– ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს საკუთარ საერთაშორისო ვალდებულებებს და მივიღებთ საპარლამენტო ასამბლეას, რადგან პატივს ვცემთ რეგულაციებსა და ორგანიზაციის პრინციპებს, – განაცხადა ზურაბიშვილმა.

რუსმა დეპუტატმა სერგეი კალაშნიკოვმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტს განუცხადა, რომ საქართველო სახიფათო ქვეყანა გახდა არა მარტო უმცირესობებისა და ქალებისთვის, არამედ პარლამენტებისთვისაც.

„ქართულ ოცნებაში“ მიხეილ ქარელს გორის მაჟორიტარობის კანდიდატად განიხილავენ

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ქართული ოცნება“ კანდიდატების შერჩევას იწყებს. როგორც რადიო „მოზაიკისთვის“ გახდა ცნობილი, მმართველ გუნდში გორის მაჟორიტარად მიხეილ ქარელის კანდიდატურა განიხილება.

ოპოზიციური პარტიები „ქართული ოცნებასა“ და შიდა ქართლის ყოფილ გუბერნატორთან საეჭვო გარიგებებსა და კავშირებზე ბოლო წლების განმავლობაში საუბრობდნენ.

ერთ-ერთი ვერსიით, ყოფილი მაღალჩინოსნების (მათ შორის ყოფილი თავდაცვის მინისტრის) წინააღმდეგ ბრალდების გასამყარებლად მმართველი გუნდი სწორედ მიხეილ ქარელის პოზიციას გამოიყენებს.

ამ უკანასკნელთან პირდაპირ კომუნიკაციაში ყოფილ მინისტრ გოგა ხაინდრავას ასახელებდნენ.

მიხეილ ქარელის სახელი აქტუალური გუშინ, 28 იანვარს, ირაკლი ოქრუაშვილის წერილის გავრცელების შემდეგ გახდა, სადაც ყოფილი თავდაცვის მინისტრი შიდა ქართლის ყოფილ გუბერნატორს მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაში ამხელს.

სოფო კილაძე: „რუსეთმა საქართველოს სასარგებლოდ 10 მლნ ევრო უნდა გადაიხადოს“

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაცია სტრასბურში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაში მონაწილეობს.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე სოფო კილაძემ განაცხადა, რომ მორიგ შეხვედრაზე საუბარი იყო რუსეთის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, რასაც სპეციალური რეპორტი მიეძღვნა.

– ეს უკავშირდება სტრასბურის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების საქმეს. ჩვენ გვქონდა ძალიან მწვავე პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ აუცილებლად უნდა მოხვდეს რეპორტში საქართველოს საქმე. კერძოდ, ეს არის „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“, რომლის ძირითადი მიმართულებაა დეპორტირებული ადამიანების საქმე.

სულ მცირე, 1.500 ადამიანია დაზარალებული. ეს საქმე საქართველომ მოიგო 2019 წელს. დიდმა პალატამ თქვა, რომ რუსეთმა საქართველოს სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს 10 მლნ ევრო. ეს საქმე აუცილებლად მოხვდება ამ ანგარიშში და ასევე მოხვდება რეზოლუციაში. ვფიქრობ, ყველა ასეთი პლატფორმა უნდა გამოვიყენოთ იმისთვის, რომ დაზარალებული ქართველების თემა იყოს ყურადღების ცენტრში, – აღნიშნა სოფო კილაძემ.

მისი ინფორმაციით, რუსებს ჰქონდათ მწვავე პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

– ბუნებრივია, ისინი ყველანაირად შეეცდებიან, რომ ეს საქმე არ მოხვდეს ანგარიშში, მაგრამ, კონვენციაც და ყველა სამართლებრივი ინსტრუმენტიც ჩვენს მხარესაა. მთავარია, ჩვენ ვიყოთ აქტიურები და მაქსიმალურად გავაკეთოთ ყველაფერი იმისთვის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ აიძულოს რუსეთი, გადაიხადოს დავალიანება, რომელიც აქვს ამ მოქალაქეების მიმართ, – განაცხადა სოფო კილაძემ.

სოფელ ბაკურციხეში ჩინეთიდან ჩამოსულ გოგონას ვირუსი აქვს

„24-ში დაეწყო ტემპერატურული რეაქცია, მაგრამ არა – ცხელება“

გურჯაანის ტელევიზიამ გუშინ, 28 იანვარს, გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვით, სოფელ ბაკურციხეში ჩინეთიდან ჩამოსულ გოგონას ვირუსი აქვს და ტემპერატურა აღენიშნება.

გოგონას მკურნალობა ოჯახის ექიმმა დაუნიშნა და პაციენტზე დაკვირვება მიმდინარეობს.

– 24-ში დაეწყო მას ტემპერატურული რეაქცია, მაგრამ არა – ცხელება, 37,5 მხოლოდ და არა – მეტი, აქვს ჩვეულებრივი რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, აქვს დანიშნულება, დაიწყო გუშინ მკურნალობა. დღეს კიდევ ვნახავთ, შემდეგ კი გვეცოდინება, – უთხრა გურჯაანის ტელევიზიას ოჯახის ექიმმა ლელა ბერიძიშვილმა.

მისივე თქმით, გოგონა ჩინეთიდან 15 იანვარს გამოფრინდა, საქართველოში კი 16 იანვარს ჩამოვიდა.

გუშინვე კომენტარი გააკეთა დაავადებათა კონტროლის ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელმა პაატა იმნაძემ.

ის ბაკურციხეში კორონავირუსის შემთხვევას გამორიცხავს.

– ეჭვიც კი არ გვაქვს იმიტომ, რომ ქალბატონი გამოსულია იქიდან 16 იანვარს და იმყოფებოდა იმ პროვინციაში, საიდანაც უხანამდე არის ისეთი მანძილი, როგორიც დაახლოებით თბილისიდან წაღვერამდეა. ასე რომ, გამორიცხულია, საეჭვო შემთხვევებშიც არ შედის, – განაცხადა პაატა იმნაძემ.

საპროკურორო საბჭო საქართველოს გენერალური პროკურორობის ორ კანდიდატს გაესაუბრა

2020 წლის 28 იანვარს საპროკურორო საბჭო, „საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატების შერჩევის წესის“ მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატებად წარმოდგენილ ორ პირს – რაულ გამისონიასა და მერაბ გამყრელიძეს გაესაუბრა.

პროკურორობის კანდიდატებმა საპროკურორო საბჭოს წარუდგინეს საქართველოს პროკურატურის განვითარების ხედვა, სტრატეგია და საპროკურორო საბჭოს წევრების შეკითხვებს უპასუხეს.

„გასაუბრების პროცესის ღიაობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით გასაუბრების პროცესი საპროკურორო საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდსა და საპროკურორო საბჭოს ფეისბუქგვერდზე ლაივ სტრიმით გადაიცემოდა.

საპროკურორო საბჭო ერთიან სიაში შეყვანილ საქართველოს გენერალური პროკურორობის კანდიდატებად წარმოდგენილ პირებთან ინდივიდუალურ გასაუბრებას 2020 წლის 29 იანვარს 11:00 საათზე გააგრძელებს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეკა გიგაური: „ოცნების“ განცხადებები ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის უსიამოვნო მოსასმენია“

„დარწმუნებული ვარ, „ოცნების“ მხრიდან ომბუდსმენზე თავდასხმაზე დასავლეთისგან რეაგირება იქნება“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართული ოცნება“ ვაშინგტონში ვიზიტების სერიას გეგმავს, რათა ამერიკელი კონგრესმენები დაარწმუნონ, რომ ცდებიან იმ განცხადებებში, რომლებსაც ისინი წერილებში ამბობენ. ეს ნარატივი ბოლო ორი დღეა, აქტიურად ისმის სახელისუფლებო გუნდიდან და ამბობენ, რომ მათ ინფორმაცია ცალმხრივად, მხოლოდ ოპოზიციისგან აქვთ, თუმცა არაფერს ამბობენ იმაზე, რომ ქვეყანაში დემოკრატიის თვალსაზრისით პრობლემებია და ამის გამოსასწორებლად ნაბიჯებია გადასადგმელი.

რამდენად გამართლებულია „ქართული ოცნების“ პოლიტიკა? ხომ არ აყენებენ შეურაცხყოფას ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებს ასეთი განცხადებებით და რა მოლოდინია საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკასთან დაკავშირებით? – ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი **ეკა გიგაური** საუბრობს.

– ხელისუფლების მისამართით მწვავე კრიტიკა ისმის დასავლეთის მხრიდან. განსაკუთრებით მწვავე კრიტიკა გაისმა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში. საპასუხოდ ხელისუფლებისგან არ გვესმის, რომ დემოკრატიული პროცესების გაუმჯობესებას აპირებს, სამაგიეროდ, გვეუბნებიან, რომ კონგრესმენებს არ აქვთ ინფორმაცია, ამიტომ აკეთებენ ასეთ განცხადებებს და რომ აპირებენ მუშაობას. ეს რამდენად გამართლებულია და აზრი დაკარგული ხომ არ აქვს?

– რა თქმა უნდა, ხელისუფლების მხრიდან არასწორი რეაგირება მოჰყვა იმიტომ, რომ აქ საუბარია ჩვენი ქვეყნის მეგობრებზე და ისინი არიან ჩვენი ქვეყნის ძალიან დიდი გულშემატკივრები. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც მუშაობენ საქართველოს თემატიკაზე და, თუკი რამე პოზიტიური გადაწყვეტილება მიუღიათ წარმომადგენლობათა პალატას, სენატს ან ევროპარლამენტს, ამ პროცესში ამ ადამიანების მონაწილეობა ძალიან დიდი იყო. ამიტომ ასე ხელაღებით კრიტიკაზე რეაგირება, ცხადია, არასწორია და ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს, როგორ და ვის პასუხობს ამ ყველაფერს. როგორც ჩანს, მათი მიზანი დღეს არის ის, რომ ჩვენი მოქალაქეები დაარწმუნონ, არაფერი ხდება და ყველაფერი კარგად არის, თუმცა ხელისუფლების არგუმენტები ძალიან სუსტია.

როდესაც ისინი საუბრობენ იმაზე, რომ ჩვენს მეგობრებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია და მათ ინფორმაცია მიაწოდა მხოლოდ ოპოზიციამ ან სხვა კრიტიკულმა ჯგუფებმა, მაშინ ისინი არ ფიქრობენ იმაზე, რომ მოსახლეობამ შეიძლება იფიქროს იმაზე, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას სხვადასხვა ქვეყანაში აქვს საელჩოები და ძალიან დიდი რესურსი აქვს ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, ასევე, ჰყავთ ლობისტები. წარმოიდგინეთ, რომ მათი პარტიის ლიდერი საქართველოში ყველაზე მდიდარი ადამიანია. ასევე, ხელისუფლების მხარეს არის ადმინისტრაციული რესურსი და რანაირად არის შესაძლებელი, რომ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და ოპოზიცია შეიძლება იყოს უფრო ეფექტიანი. წარმოუდგენელი ამბავია ეს. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არგუმენტი არის ძალიან სუსტი. მე ვფიქრობ, რომ ამ ყველაფერს ჩვენი ხალხი ხედავს.

– როდესაც ამერიკას ეუბნება ხელისუფლება, თქვენ მხოლოდ ოპოზიციისგან იღებთ ინფორმაციას და რეალური ინფორმაცია არ გაქვთო, ამით შეურაცხყოფას ხომ არ აყენებენ მათ? მით უმეტეს, რომ აშშ-ის საელჩო ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საელჩოა საქართველოში.

– მე ვფიქრობ, რომ ჩვენი პარტნიორებისთვის ეს განცხადებები უსიამოვნო მოსასმენი იქნება. მაგრამ, როგორც ჩანს ამ შემთხვევაში ხელისუფლებისთვის მთავარია, ქვეყნის შიგნით დაარწმუნოს მოსახლეობა კონკრეტულ რამეში. ამ ბრძოლასა და სურვილებში ივიწყებენ ისეთ უმნიშვნელო რამეს, რასაც დასავლეთთან ურთიერთობა ჰქვია. ვერანაირად ვერ იქნებიან ეფექტურები. საქართველოსთვის უკეთეს რამეს ვერ მოითხოვენ, თუ მათ არ ეყოლებათ პარტნიორები საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენ დღესაც გვყავს ძალიან ძლიერი პარტნიორები აშშ-ისა და ევროპის სახით და მათი დაკარგვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

– ერთ-ერთი მთავარი კითხვა, რაც მათ აქვთ, არის საქმეების აღძვრა პოლიტიკური მოტივაციის თემაზე. ირაკლი ოქრუაშვილმა თქვა, რომ რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით საქმე რომ დაუმძიმეს, ამის მოწმედ მიხეილ ქარელი იპოვეს. ეს მხოლოდ ბოლო მაგალითია. ამ მხრივ თუ დაინახეთ დამაჯერებელი არგუმენტები ხელისუფლებისგან?

– ზოგადად არა მარტო ოქრუაშვილის თემაზე, არამედ, საერთოდ, იმავე აქციების დროს დაკავებულებთან მიმართებით ბევრი კითხვის ნიშანი გვაქვს. მხედველობაში მაქვს მათ მიმართ წარმოებული გამოძიება. ზოგადად შერჩევითი სამართლით გამოიყენება კანონმდებლობა, მათ შორის, აქტივისტებთან მიმართებით. მაღალი ჯარიმები გამოიყენება, ზოგი წინასწარ პატიმრობაში მოყვა და ა.შ. ცხადია, ჩანს ამ ყველაფრის შერჩევითობა. ამიტომ, ერთი მხრივ, ყველანი ვთანხმდებით, რომ კანონის უზენაესობის პრინციპის შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ, მიუხედავად იმისა, ადამიანი ოპოზიციაშია თუ რა პლატფორმაზეც არის.

თუ ადამიანი პოლიტიკოსია და კანონი დაარღვია, რა თქმა უნდა, მისი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს, მაგრამ, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ყველაფერი შერჩევითია და მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციასთან მიმართებით არიან ჩვენი საგამოძიებო ორგანოები ასეთი მკაცრები.

ეს ყველაფერი რომ ხდება, სწორედ ამის გამო საუბრობენ ჩვენი პარტნიორები ამ ყველაფერზე. იმავე 20 ივნისის საქმის გამოძიებას რომ შევხედოთ, მეორე მხარესაც შესაბამისი დონისა და ზომის პასუხისმგებლობა რომ დაჰკისრებოდა, არავინ არაფერს იტყოდა, მაგრამ, როდესაც საუბარია მხოლოდ ერთი მხარის პასუხისმგებლობაზე, შესაბამისად, რეაგირებაც ამაზეა. ეს ძალიან აშკარაა.

– სახალხო დამცველის მისამართით თავდასხმის რიტორიკა იყო თეა წულუკიანის მხრიდან, რაც, ფაქტობრივად, ხელისუფლებამ სრულად გაიზიარა. არის თუ არა კანონის დარღვევა და სახალხო დამცველის საქმეებში ჩარევა მასზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით?

– მე ვფიქრობ, რომ აქ ორი მთავარი მიმართულებაა. პირველი ის, რომ თეა წულუკიანმა გააგრძელა ის საერთო ხაზი, რომელიც აქვს „ქართულ ოცნებას“. მათთვის მიუღებელია ნებისმიერი სახის კრიტიკა, ანუ ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში სახალხო დამცველის ასეთი ანგარიში რომ ყოფილიყო, ცხადია, ამ ანგარიშს გაეცნობოდნენ და მათ შორის სახალხო დამცველთან ერთად შეეცდებოდნენ, ყველაფერი გაეკეთებინათ იმისათვის, რომ ეს პრობლემები არ გვქონოდა. ეს არის ნორმალური პროცესი და იმიტომ იქმნება სხვადასხვა მონიტორინგის მექანიზმები და გაწონასწორების სისტემა, რომ ერთმანეთი აკონტროლონ და ერთმანეთის მიმართ გაატარონ მონიტორინგი უწყებებმა.

თუ ერთმა აღმოაჩინა მეორეში პრობლემა, მთავარია, ამაზე რეაგირება იყოს, თორემ პრობლემა ყველგან შეიძლება მოხდეს. ხელისუფლების არაჯანსაღი დამოკიდებულების გაგრძელება არის ის, რომ მათთვის არანაირი კრიტიკა არ არის მისაღები.

მეორე, რაც შეეხება თვითონ ამ დამოუკიდებელ ინსტიტუტზე თავდასხმას, ეს არის სახალხო დამცველის ინსტიტუტზე თავდასხმა და საქმე მხოლოდ ნინო ლომჯარიაში არ არის. ფაქტობრივად, ხელისუფლება ამბობს იმას, რომ ის არ აძლევს შესაძლებლობას მოქალაქეებს, რომ მათი შეხვედრები სახალხო დამცველთან დარჩება კონფიდენციალური. ეს არის მთავარი და ძალიან დიდი პრობლემა.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისგან ამაზეც იქნება რეაგირება და ძალიან მწვავე შეფასებები ექნებათ მათ ამაზე. ჩვენს მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ უფლება, შეხვდნენ სახალხო დამცველს, დაელაპარაკონ მას და გადაწყვიტონ მათ, უნდათ თუ არა, რომ ეს ინფორმაცია იყოს საჯარო. ამიტომ, მე მგონია, ამ ორივე მიმართულებით გვაქვს აქ პრობლემა.

– საინტერესო აქცენტი გააკეთა უსუფაშვილმა, თქვა, რომ კრიტიკის ნიაღვარი უმრავლესობის დელეგაციის აშშ-ში ვიზიტს მოჰყვა, რაც ნიშნავს, რომ მათი არგუმენტები არადამაჯერებელი იყო, თუ ისინი ჩავლენ, ოპოზიციას არაფერი აღარ გვექნება გასაკეთებელიო. იზიარებთ ამას და ზოგადად ხელისუფლებისგან რას ელოდებით?

– კი, რთულია, რომ მათ წარმოადგინონ არგუმენტები. დასავლეთისგან კრიტიკის ორი საგანი იყო. ერთი იყო პროპორციული სისტემის ჩაგდება და მეორე – სასამართლო სისტემა, კერძოდ კი უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების არჩევის პროცესი. რაც არ უნდა ილა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ვახტანგ გომელაური: „დანაშაულის აღმოჩენის შემთხვევაში თანამშრომელს მტკიცებულებები გენინსპექციაში ან პროკურატურაში უნდა წაელო“

შინაგან საქმეთა მინისტრმა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის განახლებული ცენტრის, „112“-ის პრეზენტაციის შემდეგ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა. ვახტანგ გომელაური მედიაში ყოფილი თავდაცვის მინისტრის ოჯახის წევრსა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს შორის რამდენიმე წლის წინ მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა.

შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, თუ პატრულ-ინსპექტორმა დანაშაული ნახა და უკანონო ბრძანება მიიღო, დაუყოვნებლივ უნდა შეეტყობინებინა გენერალური ინსპექციისთვის, ან პროკურატურისთვის.

– ეს ფაქტი მაშინ, როდესაც მოხდა, ვიცოდით, გავიგეთ, რა თქმა უნდა, რომ ინციდენტი მოხდა უმნიშვნელო – მე ასე დავარქმევდი. ასეთი პრეცედენტი ხდება ძალიან ბევრი, თუნდაც ავიღოთ აქციების დროს, ამაზე 10-ჯერ მძიმე ფაქტები ხდება, როდესაც არ ვაკავებთ.

რა თქმა უნდა ეს ძალიან არასასიამოვნო ფაქტი იყო, აგრესიული გახდა ეს ადამიანი. ამ ვიდეოს წინ რა უძღოდა ის არ ჩანს, რატომ გახდა აგრესიული. ეს ადამიანი როგორი ადამიანია, მე ამის შეფასებას თავს უფლებას არ მივცემ, ოჯახმა თავად გააკეთა განცხადება.

მოხდა ეს პრეცედენტი 6 წლის წინ. ეს ვიდეო შენახული ჰქონდა თუ რა იყო, მე ნამდვილად არც მახსოვდა ეს დვალიშვილი იყო, თუ სხვა გვარი.

რაც შეეხება დევნას, რეფორმა გაკეთდა ჩვეულებრივ საპატრულო პოლიციაში და მას უწევდა სხვა თანამდებობაზე გადასვლა.

თუ მან ნახა, რომ დანაშაული იყო, ის ვალდებული იყო, წაეღო მტკიცებულებები ან გენინსპექციაში, ან პროკურატურაში და არ უნდა შეენახა ვითომ „თავდაცვის“ მიზნით.

ვინ დევნიდა? 6 წლის განმავლობაში თანამდებობაზე იყო ეს ადამიანი. ერთი წლის წინ მისმა მეუღლემ დაიწყო მუშაობა უწყებაში. როგორ ფიქრობთ, 6 წელი რომ დევნაში ყოფილიყო ეს ადამიანი უსაფრთხოების სამსახურისგან, ან შინაგან საქმეთა სამინისტროსგან იმუშავებდა კიდე?!

რაც ამ ადამიანმა გააკეთა დღეს, ჩემთვის ძალიან მიუღებელია მისი საქციელი. მოქალაქის ქმედებაც მოსაწონი არ არის, რა თქმა უნდა. პატრულ-ინსპექტორმა უნდა დასაჯოს ის. თუ არასწორი მითითება მისცა მისმა ხელმძღვანელმა, უნდა გაესაჩივრებინა და არა შეენახა. მინისტრის მოადგილის მძღოლი არ არის უფროსი არცერთი პატრულის თანამშრომლის, ჩემი მძღოლიც არ არის არც ერთი პატრულ-ინსპექტორის უფროსი.

პროკურატურაში შეიტანა ამ ადამიანმა, იმედია, სრული ვიდეო ექნება შენახული, სრული ვიდეო თუ არ წაშალა, რაც თვითონ არ აწყობდა ამ პატრულის თანამშრომელს. პროკურატურა იძიებს და დაველოდოთ, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ლევან ალაფიშვილი: „ვინც ჩაატარა სპეცოპერაცია, იმანვე გამოიძია საქმე?“

„პროკურატურის მიერ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის შეწყვეტა ახალ კითხვებს წარმოშობს“

ნათია ხურცილავა

იურისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თემირლან მაჩალიკაშვილის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, პროკურატურამ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმის ძიება შეწყვიტა. ამავე დროს ცნობილია, რომ საქმე სტრასბურის სასამართლომ წარმოებაში მიიღო. რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– იმის გათვალისწინებით, რომ ამ საქმეში უმთავრესი არის სახელმწიფო და არა რომელიმე

კონკრეტული სუბიექტი, სწორედ სახელმწიფოს მიერ მტკიცებით ფორმაში გაკეთებული ეს განცხადება დამატებით კითხვებს წარმოშობს. სახელმწიფო ამ შემთხვევაში არის მხარე და სწორედ მხარის მიერ გაკეთებულ განცხადებასთან გვაქვს ჩვენ საქმე. ამიტომ, ეს დამატებით კითხვებს წარმოშობს არა ქვეყნის შიგნით, არამედ ქვეყნის გარეთ სწორედ სტრასბურის სასამართლოში.

მთავრობა უნდა იყოს მზად მძიმე კითხვებისთვის ამ საქმესთან დაკავშირებით, რომლებიც დაისმება სტრასბურში. თუკი ხელისუფლების პასუხი არ იქნება დამაჯერებელი, მაშინ არ დააყოვნებს სტრასბურის გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფოს სასარგებლო არ იქნება.

საუბარია სიცოცხლის უფლებაზე, შესაბამისად, საკმაოდ მაღალი სტანდარტია დაწესებული ამ უფლების დაცვისთვის.

– სტრასბურის სასამართლომ საქმე წარმოებაში რომ მიიღო, ამითაც იყო განპირობებული?

– ამ ეტაპისთვის არ მგონია სწორი იყოს მტკიცებით ფორმაში რაიმეზე საუბარი. თუმცა, რადგან სტრასბურის სასამართლომ საქმე წარმოებაში მიიღო, ეს ნიშნავს, რომ მან ამ ეტაპისთვის დაინახა საჭიროება, რომ განიხილოს სახელმწიფოს მოქმედება კონკრეტულ ადამიანთან დაკავშირებით, მის სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით.

შედეგი როგორი იქნება ამაზე, ამ ეტაპზე საუბარი გამიჭირდება. თუმცა, კითხვები რომ გაჩნდება, მით უფრო პროკურატურის პოზიციის შემდეგ, ამაში დარწმუნებული ვარ.

– რატომ არ დაუშვა პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნა ხელისუფლებამ? მალხაზ მაჩალიკაშვილი მთელი ეს პერიოდი სწორედ ამას ითხოვს.

– გონიერი ხელისუფლება ყოველგვარი კითხვების გამოსარიცხად, მით უფრო, როდესაც საქმე სტრასბურშია წასული, თვითონვე უნდა წასულიყო ამაზე და თავად უნდა ყოფილიყო მოწადინებული, რომ მიუკერძოებელი საგამოძიებო კომისია შეექმნა. ამ შემთხვევაში ხომ მოიხსნებოდა მთავარი უხერხული კითხვა: ვინც ჩაატარა სპეცოპერაცია, იმანვე გამოიძია საქმე? ხელისუფლებას უნდა ჰქონოდა მცდელობა მაინც, რომ მეტ-ნაკლები ნეიტრალიტეტი დაეცვა.

სამწუხაროდ, ამაზე არ წავიდა ხელისუფლება. სხვათა შორის, დღესაც არ არის გვიან, რომ პარლამენტის საგამოძიებო კომისია შეიქმნას, მაგრამ არ მგონია, რომ ამაზე დღეს წავიდეს ხელისუფლება.

– რა განვითარება შეიძლება პროკურატურის ამ გადაწყვეტილებას მოჰყვეს?

– ეს გადაწყვეტილება საზოგადოებაში გაჩენილ კითხვებს კი არ შეამცირებს, პირიქით, გაზრდის. აქედან გამომდინარე, შეიძლება შესაბამისი პროცესები სწორედ ამ მიმართულებით განვითარდეს.

– და ბოლოს, არავის ეპარება ეჭვი, რომ ირაკლი შოთაძე კიდევ ერთხელ გახდება ქვეყნის გენერალური პროკურორი.

– ვინც არ უნდა გახდეს გენერალური პროკურორი, ის ამ სისტემაში ვერ იქნება დამოუკიდებელი და ობიექტური. თუკი ინსტიტუტი ინსტიტუციურად დამოუკიდებელია, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება ხელმძღვანელი, რადგან ის ავტომატურად მუშაობს, ამ დროს იმ ინსტიტუტზე პოლიტიკური გავლენა შეუძლებელია.

ჩვენ დღეს სხვა რეალობაში ვართ.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ: 598-43-98-57

„ირაკლი ღარიბაშვილს პრემიერად ამზადებენ“

ლადო სადღობელაშვილი: „იზორიას წასვლა არ გამიკვირდა“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს **ლადო სადღობელაშვილი** პასუხობს.

– ლადო, წერილი წერილზე მოდის ამერიკელი სენატორებისგან. ამ ყველაფერს გაზვიადებულს უწოდებენ ხელისუფლებაში. თქვენ რას იტყვით, გაზვიადებულია ეს საკითხი?

– სენატორების წერილები, რა თქმა უნდა, მძიმე საკითხია, თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ამ სენატორების უმრავლესობა იქაური ოპოზიციაა. საუბარი იმაზე, რომ ამ სენატორებმა წერილები მოიწერეს და სასწრაფოდ რადიკალურად უნდა შეცვალოს ხელისუფლებამ მიდგომები, ცოტა გაზვიადებულად მეჩვენება.

ჩვენ ვისმენთ ერთ მკაფიო გზავნილს იქიდან და ამაზე ჩვენც და მთელი მსოფლიო თანხმდება, რომ ამ ხელისუფლებამ ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა, ვგულისხმობ პროპორციული არჩევნების არმიღებას. ვერავინ დამაჯერებს, რომ ბიძინა ივანიშვილსა და „ქართული ოცნების“ მმართველ ელიტას სურდა პროპორციული არჩევნები და იქ ვიღაცა დეპუტატებმა, რომელთა ხმა არ გაგონილა წლების განმავლობაში, უეცრად ხმა აიმაღლეს და მათ გადაწყვიტეს „ქართული ოცნების“ ბედი. ეს, უბრალოდ, ფანტასტიკის სფეროა.

– ამ თემამ გააღიზიანა ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც?

– რასაკვირველია. სრულიად გასაგებია მათი გაღიზიანების მიზეზი. როდესაც ორი წლის განმავლობაში მათ ეუბნები, მე კი ტიპი ვარ, იმიტომ, რომ მე ამას ვაკეთებ და ეს არის დემოკრატიის პიკი და მართლაც, მათ რომ მიეღოთ პროპორციული სისტემა, ეს იქნებოდა დემოკრატიის პიკი.

– იყო დაპირება და ყველა გადააგდეს.

– დიახ, პრობლემა ეს არის, იყო დაპირება და გადააგდეს. არადა, ამერიკიდან ნდობის ფაქტორი ნამდვილად დიდი იყო. ელჩიც კი არ გამოუგზავნიათ მთელი წელიწად-ნახევარი. როდესაც ელჩის დანიშვნა იგვიანებს, ან ფეხებზე ჰკიდიხარ ამერიკას, ან მაღალი ნდობით სარგებლობ. ფეხებზე ნამდვილად არ ვკიდივართ. ასე რომ, გვენდობოდნენ და ამათ რა გააკეთეს.

ამერიკა რომ დარწმუნდა, ესენი არ აპირებენ პროპორციული არჩევნების ჩატარებას, ამის მერე გამოაგზავნეს ელჩი. სწორედ ამის მერე წამოვიდა ევროპიდან და ამერიკიდან შეტევები. ეს შეტევები ლეგიტიმურია.

თავად ამერიკას რომ შევხედოთ, სენატი მთლიანად მაჟორიტარული სისტემით არის არჩეული და ჩვენ გვეუბნებიან, თქვენ პროპორციულით უნდა აირჩიოთ პარლამენტიო. რა, ეს დემოკრატიული მიდგომაა?! ეს ჩვენი ხელისუფლების არჩევანი იყო თავის დროზე, ეგონათ საკუთარი თავი უძლეველი ტიპები და ფიქრობდნენ, რომ ასეთ პირობებშიც კი შესაძლებელია, დამარცხდეს ოპოზიცია მათთან.

მე მაქვს ბოლო ინფორმაციები, რომ „ქართული ოცნება“ ცვლილებებს გეგმავს.

– ცვლილებებს რასთან დაკავშირებით?

– „ქართული ოცნება“ მთლიანად პროპორციულზე არ გადავა, მაგრამ ნაწილობრივ შეამცირებს მაჟორიტარების კვოტას და 5%-დან დასწევს 3%-მდე საპარლამენტო ბარიერს.

– ანუ დათმობა იქნება?

– დიახ, რაღაცა შუას აიღებენ, არც იქით რომაა და არც აქეთ. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩუგოშვილის უმრავლესობიდან წასვლის შემდეგ, „ოცნებამ“ საერთოდ გაწყვიტა ამერიკასთან ურთიერთობა. მას შემდეგ, რაც ჩუგოშვილმა დატოვა მმართველი ძალა, როგორც ჩანს, ისეთი დონის კომუნიკაცია აღარ აქვთ, როგორიც უნდა ჰქონდეთ. ესეც სერიოზული პრობლემაა ამ მოცემულობაში, რომ ხელისუფლების მხარდასაჭერი განცხადება არ გაკეთებულა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კომუნიკაცია შეერთებულ შტატებთან დარღვეულია სერიოზულ დონეზე.

– ლადო, რა ხდება შიგნით „ოცნებაში“? სერიოზული ქაოსია. ამას ლევან იზორიას სკანდალიც დაერთო.

– იზორიას წასვლა ჩემთვის გასაკვირი ნამდვილად არ იყო. პირადად მე 2019 წლის დასაწყისში მქონდა ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი უნდა წასულიყო. არ ვიცი, რატომ დატოვეს ამ დრომდე. მისი ჩამოქვეითებაც და უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელად გადაყვანა კიდევ ერთი ნიშანი იყო იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საწინააღმდეგოდ წავიდნენ.

– რატომ წავიდნენ ამერიკის საწინააღმდეგოდ?

– იმიტომ, რომ იზორია გამოკვეთილად იყო პროამერიკული მინისტრი, რომელიც ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობდა და ეს ცვლილებებიც მიანიშნებს იმას, რომ ეს არის გზა ერდოღანიზაციისკენ! ეს არის გზა, როდესაც ჩვენ ვწყვეტთ ურთიერთობას ამერიკასთან, ევროპასთანაც გვაქვს დაძაბული ურთიერთობა და ვალაგებთ ურთიერთობას რუსეთთან. დაახლოებით ასეთ გზაზე დგას ეს ხელისუფლება. ის კადრები, რომლებიც იყვნენ პროდასავლურები და მათი რეკომენდაციით დანიშნულები, აღარ არიან ხელისუფლებაში.

– კერძოდ?

– იმავე ჩუგოშვილზე რომ ვსაუბრობდი, ჩუგოშვილი და მისი გუნდი იყვნენ ამერიკის რეკომენდაციით წარმოდგენილები. შესაბამისად, მათი წასვლა, იზორიას წასვლა, ისეთი ადამიანის პრემიერად დანიშვნა, რომელსაც, რბილად რომ ვთქვათ, ადანაშაულებენ ტერორისტულ ქმედებებში და ასე შემდეგ, პირდაპირ მიუთითებს იმას, რომ ჩვენ ამერიკასთან ურთიერთობა კი არა, რუსეთთან ურთიერთობა გვინდა.

შიდაარეულობას რაც შეეხება, ჩვენ მოვისმინეთ წულუკიანის განცხადება, რომ მინისტრობიდან გადადგომასა და საპარლამენტო საქმიანობის გაგრძელებას აპირებს. დასჯილი ბავშვის ტონი იგრძნობოდა ამ ქალბატონში. ის მუდმივად მმართველი მინისტრი იყო 8 წლის განმავლობაში ამ სამინისტროში. მან თავისი კლანი ჩამოაყალიბა და აღარავის მოსწონდა ეს ქალბატონი. პირდაპირ უთხრეს, წადი, თავი დაგვანებეო. ჩემი აზრით, მას პარლამენტში გაუშვებენ.

რაც შეეხება ციხელაშვილს, მასზეც მკაფიო გზავნილებია ხელისუფლებიდან, რომ ეს ადამიანი მიდის. მართალია, ჯერ კულუარულია ეს ინფორმაცია, მაგრამ საკმაოდ მკაფიოა.

– მას სად უშვებენ?

– აღბათ მასაც რომელიმე მდაბიო ქვეყნის ელჩად გაუშვებენ.

ცხადია, ბიძინა ივანიშვილი თავის გუნდს რადიკალურად ცვლის. ამხელა საკადრო ცვლილებები, თანაც ასეთი მძიმეწონიანი ადამიანების, ნიშნავს იმას, რომ რაღაც ძირეული იცვლება ამ პარტიაში. ძველად ჩაბუდებული ტიპები აღარ უნდა იყვნენ ამ პარტიაში და აღარ უნდა იყვნენ მმართველები.

– ეს რამდენად უშველის ივანიშვილს?

– პუტინმა რაც გააკეთა, მგონი, იმავეს გეგმავს ივანიშვილიც, პრესცენტრის ხელმძღვანელიდან დაწყებული, ყველა რომ შეცვალა, მხოლოდ ლავროვი დატოვა თანამდებობაზე. ეს იმაზე მიუთითებს, რომ იქაც პუტინი ცდილობს, თავისი თავი დაიმკვიდროს, თუნდაც ჩრდილოვან მმართველად გადაიყვანოს და აქაც ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, ამ ცვლილებებით გზა-კვალი აუბნიოს ქართველ ერს და თვითონ ისევ დარჩეს ერთპიროვნულ მმართველად. ეძებს ისეთ სახეებს, რომლებიც მის იმიჯს გამოასწორებენ.

– როდიდან ელოდებით ძირეულ ცვლილებებს?

– ნახეთ, რა კარგად თქვა თავად ლევან იზორიამ, მე უკვე გადამდგარი ვარ, უბრალოდ, თებერვლის ბოლოს მივდივარ გერმანიაშო. წულუკიანმაც იგივე თქვა, რამდენიმე თვეც ამიტანეთო, ანუ იქ ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია და რაღაცას ელოდებიან.

– მაინც რას?

– თუ ივანიშვილის გაპრემიერებაზეა საუბარი, აღბათ საბუთები უნდა მოაწესრიგოს, საფრანგეთის მოქალაქეობაზე უნდა თქვას უარი.

გახარიას წასვლაზეც ამდენს საუბრობენ, მაგრამ მე მაქვს კულუარული ინფორმაცია, რომ ის გუნდში რჩება. თუ ბიძინა ივანიშვილი უარს იტყვის პრემიერობაზე, მაშინ გახარიას შემცვლელად ირაკლი ღარიბაშვილი მოიაზრება. ძალიან გააააქტიურეს ბოლო პერიოდში ღარიბაშვილი. ძალიან ბევრი შეხვედრა ჰქონდა ამერიკაში.

როგორც ჩანს, სწორედ მას ამზადებენ პრემიერ-მინისტრად.

ეკა გიგაური: „ოცნების“ განცხადებები ჩვენი დასავლელი პარტნიორებისთვის უსიამოვნო მოსასმენია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

პარაკონ მათ, ეს დამაჯერებელი ვერ იქნება. რა არგუმენტი უნდა მოიყვანონ?! ფაქტი ხომ ის არის, რომ არ გადავსულვართ პროპორციულ სისტემაზე და ეს საშინელი პროცესი გვქონდა უზენაეს სასამართლოში მოსამართლეების არჩევის თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით პოზიტიური არგუმენტი რომ მოიფიქრო, ეს, მგონი, შეუძლებელია.

ამიტომ, მე მგონია, ამ არგუმენტების ძებნაზე კი არ უნდა დახარჯონ დრო და ენერგია ხელისუფლების წარმომადგენლებმა და იმაზე კი არ უნდა იფიქრონ, როგორ ჩაძირონ სხვადასხვა ოპონენტები. იქნება სამოქალაქო აქტივისტები, არასამთავრობო ორგანიზაციები თუ მათი პოლიტიკური ოპონენტები, არამედ, იმაზე უნდა იფიქრონ, რომ შეასრულონ ის დაპირება, რომელიც მათ მისცეს ჩვენს საზოგადოებას. შეცვალონ თავიანთი გადაწყვეტილება და გადავიდეთ პროპორციულ სისტემაზე.

დარწმუნებული ვარ, როგორც კი ამ ნაბიჯს გადადგამენ, მაშინვე ძალიან ბევრი შესაქები განცხადება გამოქვეყნდება ჩვენი პარტნიორების მხრიდან და, ამასთანავე, ეს საზოგადოების მხრიდანაც პოზიტიურად აღიქმება. ამიტომ ეს „ოცნების“ წაგებული ომი კი არ იქნება, არამედ, ეს იქნება ძალიან საღი გადაწყვეტილება, რომლის მიზანიც ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავალია. ამ ვითარებაში პოლიტიკური პარტიებიც ეცდებიან, წყნარად მოემზადონ პროპორციული არჩევნებისთვის. მე ვფიქრობ, ამ მომენტში ეს იქნებოდა ყველაზე სწორი ქმედებები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან.

ანზორ აბრალავა: „ქვეყნის მართვის სისტემაში ქუჩის სტილი შემოიტანეს“

„ნაცებსა და ევრონაცებს უნდათ, საკუთარი გეგმები სხვებსაც მოაწონონ“

მარიამ მჭედლიშვილი

„უღირსი ხალხი „ოცნებამაც“ მოიყვანა

როგორ შეიძლება შეფასდეს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა იმ დროს, როცა საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს ნიშანთვისებები სულ უფრო ნაკლებად ეტყობა, ხელისუფლება საგარეო პარტნიორების მხრიდან კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა, ბევრი ოპოზიციონერი კი თავის შესაძლებლობებს გადაჭარბებულად აფასებს? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს **ანზორ აბრალავას**.

– საქართველოს ხელისუფლება მკაცრად და ზედიზედ გააკრიტიკეს ვაშინგტონიდან და ბრიუსელიდან. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ აშშ-ს არასწორი ინფორმაცია აქვს. აშშ-ში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძეც აცხადებს, რომ კრიტიკული წერილები ამერიკიდან არაზუსტი ინფორმაციის შედეგია.

– ინფორმაციის მოძრაობას თავისი წესები აქვს. თუ საქართველოს შესახებ ინფორმაცია არაზუსტი და არასწორია, ამისთვის არსებობს სპეციალური ინსტიტუტები.

– დააზუსტეთ.

– პირველ რიგში, საგარეო საქმეთა სამინისტრო, პრეზიდენტის ინსტიტუტი, მთლიანად მთავრობა. ჩვენ გახსნილი ქვეყანა ვართ პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც. თუ უცხოეთში ვინმე ინფორმაციულ ვაკუუმშია, ეს ჩვენი ხელისუფლების ბრალია. ეს ხალხი წერილებს კი არ უნდა ელოდებოდეს და მათზე პასუხებს კი არ უნდა სცემდეს, თავიდანვე უნდა მუშაობდეს ამ ასპარეზზე. თუ მართლები არიან, გაბედული პასუხების გაცემაც უნდა შეეძლოთ.

ამას ემატება სხვა პრობლემა. საქართველოს ოპოზიცია ისევ ქაოსის მოწყობას ცდილობს. ქაოსის, არეულობისა და რევოლუციის გარეშე ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო ძალაუფლებას ხელში ვერ ჩაიგდებენ. რევანშისტულ იდეებზე ამ ვაიოპოზიციას ხელი არ აუღია. ისინი მუშაობენ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც. ნაცებსა და ევრონაცებს უნდათ, საკუთარი გეგმები სხვებსაც მოაწონონ.

– აშშ უმძლავრესი სახელმწიფოა, რომელსაც ჰყავს ძლიერი დიპლომატები, სპეცსამსახურები. ვაშინგტონში საქართველოზე აქვთ საკმარისი ინფორმაცია იმისდა მიუხედავად, თუ რას იტყვიან იქ ჩასული ოპოზიციისა და მმართველი პარტიის დელეგაციები.

– რასაკვირველია. კარგი იქნებოდა, საქართველოში იყოს ჯანსაღი პოლიტიკური ვითარება და ხელისუფლებები იცვლებოდეს აუმღვრევლად, მშვიდ სიტუაციაში. ჩვენში ხელისუფლებაში მოსვლა უკვირთ და ხელისუფლებიდან წასვლა არ უნდათ. სააკაშვილის დროსაც და 2012 წლის შემდეგაც ისეთი ადამიანები მოხვდნენ პასუხისმგებელ თანამდებობებსა და პოლიტიკაში, რომ ამას სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდნენ. ამის შედეგს ვიმკით. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელო საკრებულოს ამბები.

– თბილისის საკრებულოში, მართლაც, ამაზრზენი ამბავი მოხდა – საკრებულოს უმრავლესობის წევრები ჯგუფურად ფიზიკურად გაუსწორდნენ ნაცმოძრაობის დეპუტატ ლევან ხაბეიშვილს. საზოგადოება ამ ფაქტზე ობიექტურ გამოძიებას მოითხოვს.

– პირადად ჩემთვის ყველაფერი გამოძიებულია. არსებობს კადრები, სადაც ყველაფერი გამოკვეთილია. გამოძიება მაშინ იქნებოდა აუცილებელი, ფაქტები რომ დასადგენი იყოს. ეს იყო ცემა-ტყეპა. არც ნაცები დგანან მშვიდობისა და სტაბილურობის სადარაჯოზე. ორივე მხარე საშინლად იქცევა.

– როცა მმართველი პარტია კოლექტიურ ანგარიშსწორებაზე გადადის, ეს უკვე მეტისმეტია.

– ბუნებრივია. ქვეყნის მართვის სისტემაში შემოიტანეს ქუჩის სტილი, პოლიტიკაში დიდი ხანია, უვიცი, გამოუცდელი და აგრესიული ადამიანები შემოჰყავთ. უღირსი ხალხი „ოცნებამაც“ მოიყვანა.

– საქართველო ბევრი რამის გამო კარგავს დემოკრატიული სახელმწიფოს იერსახეს. ლევან იზორია, რომელმაც ასევე დააზიანა სახელმწიფოს იმიჯი, დაზვერვის სამსახურიდან გერმანიაში ელჩად გადაჰყავთ.

– სწორედ იმას ვამბობ, რომ მმართველი პარტიები კადრებს არასწორად არჩევენ. ადამიანს, პროფესიონალური მახასიათებლების გარდა, უნდა ჰქონდეს შინაგანი კულტურა და წესიერება. ის უნდა მოქმედებდეს სახელმწიფოებრივად. მანკიერება მენტალიტეტად გადაგვექცა. გახსნილ სივრცეში ვცხოვრობთ და ამ მახინჯ მენტალიტეტს სხვებიც ხედავენ.

– თქვენ სტუდენტებთან და დოქტორანტებთან გაქვთ კავშირი. მათაც იგივე მენტალიტეტი აქვთ?

– საბედნიეროდ, მახინჯი მენტალიტეტი მათში არ იგრძნობა. უფროს თაობებშიც არიან წესიერი და ღირსეული ადამიანები. უბედურება ისაა, რომ ისინი ჩრდილში იმყოფებიან. პატრიოტობა, მორალი და განათლება საქართველოს პოლიტიკაში იგნორირებულია. პირიქით, ვისაც ეს თვისებები არ გააჩნია, ისინი ხმაურობენ ყველაზე მეტად.

პოლიტიკური ლიდერები ეკრანიდან ელაპარაკებიან ხალხს. ვერ ხვდებიან, რომ ეკრანი ბარიერია, რომ მართვის სისტემა საზოგადოებრივი უნდა იყოს. მოდიან თანამდებობებზე, შემდეგ ხიბლში ვარდებიან და ხალხის წინ ჩინურ კედელს აშენებენ.

– ბიძინა ივანიშვილის მიმართ შესაძლო სანქციებზე რას იტყვით? სანქციებს ავტორიტარულ მმართველებსაც უწესებენ ხოლმე. ცალკე თემაა კრემლთან გარიგება.

– არ ვიცი, რა იქნება. თუ შეილახა აშშ-ის ეკონომიკური ინტერესები, მაშინ შეიძლება ქვეყანასაც დაუდგინდეს სანქციები. არა მგონია, საქართველო ასეთი სახელმწიფოების რიცხვში მოჰყვეს. დააკვირდით, როგორი აღტყინებულია ეს ოპოზიცია. უკვე ზეიმობენ სანქციებს, ივანიშვილს კი ჩაუშესკუს ეძახიან.

– იმედია, არ ფიქრობთ, რომ აშშ-ის გადაწყვეტილებაზე ქართველი ოპოზიციონერები ახდენენ გავლენას.

– არა, არა. ესენი თავისას ცდილობენ და ხალხს ისევ თვალში ნაცარს აყრიან. ნაცებისა და ევრონაცების ამოცანა ასეთია – ბიძინა ივანიშვილმა ან უნდა დატოვოს ქვეყანა, ან უნდა მოხდეს მისი ფიზიკური ლიკვიდაცია. დააკვირდით მათ გამონათქვამებს! ამბობენ, თუ ივანიშვილმა მოთხოვნები არ შეასრულა, ჩაუშესკუს ბედს გაიზიარებსო.

– ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური მწვავე განცხადებაა.

– ამათ ივანიშვილი თავისი რესურსებით ხელს უშლის და მისი მოცილების ამოცანა ნამდვილად უდგათ.

– ხალხში კი პოლიტიკური პარტიების მიმართ ნიჰილიზმია.

– ეს მართალია. სულ ეკრანებზე რომ არიან, არც ეგ შველით. ბოლო დროს დავრწმუნდი, რომ ხალხს ეს უფრო აბრაზებს. პირადად მე ვერ გამიგია, როგორ შეიძლება, ერთმა პოლიტიკოსმა ყველა თემაზე აკეთოს კომენტარი.

ყოვლისმცოდნე არავინაა. ეს ოპოზიცია იქცა პოლიტიკურ საცობად. ის პოლიტიკურ ველზე სხვებს არ უშვებს. ადამიანებს ამ ოპოზიციისგან განსხვავებული საზოგადოების წარმომადგენლები მოსწონთ.

მაგალითად, „ახალ თაობაში“ დაბეჭდილი ჩემი ინტერვიუების შემდეგ მოქალაქეები მირეკავენ. „ქართული ოცნება“ ბევრ შეცდომას უშვებს, მაგრამ ოპოზიცია თავისზე ბევრად უარესი ჰყავს. ხვალ რომ ჩატარდეს არჩევნები, „ქართული ოცნება“ ამ მობეზრებულ სახეებს დიდი ანგარიშით აჯობებდა.

„თემირლან მაჩალიკაშვილმა ცადა, საბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანა ხელყუმბარა, რის გამოც მას სპეცრაზმელმა ესროლა“

პროკურატურამ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე გამოძიება შეწყვიტა

თბილისის პროკურატურამ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე გამოძიება შეწყვიტა. შესაბამისი განცხადება თბილისის პროკურატურაში გუშინ, 28 იანვარს, გამართულ ბრიფინგზე გაკეთდა.

უწყების განმარტებით, „სრულყოფილი და ყოველმხრივი გამოძიების შედეგად დადასტურდა, რომ სპეციალური ოპერაციების სამმართველოს თანამშრომელი იმყოფებოდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, საფრთხე იყო რეალური, იმწუთიერი და მისი ქმედების მიზანს მხოლოდ ამ საფრთხიდან საკუთარი თავის და გარშემომყოფთა სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენდა, ასევე დადასტურდა, რომ სპეციალური დანიშნულების რაზმის არც ერთ წევრს და არც რომელიმე მაღალი თანამდებობის პირს კანონსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება არ ჩაუდენია“.

პროკურატურის განცხადებაში ნათქვამია:

„2017 წლის 21 ნოემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე არსებული ინფორმაციით თბილისში, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში მცხოვრებ პირებს თან ჰქონდათ დიდი ოდენობით იარაღი და საბრძოლო მასალა, რის გამოც 2017 წლის 21 ნოემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება აღნიშნულ პირთა დაკავების შესახებ.

ადგილზე მისულ სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებს ბინაში მყოფმა ტერორისტული დაჯგუფების წევრებმა – ახმედ ჩატაევმა, „აბუ ჰურეირამ“ და ასლანბეგ სოლტახმადოვმა გაუწიეს შეიარაღებული წინააღმდეგობა, რის გამოც სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელთა მიერ განხორციელდა შენრობის შტურმით აღების ოპერაცია, რა დროსაც ლიკვიდირებული იქნა ორი ტერორისტი, ხოლო ახმედ ჩატაევმა აიფეთქა თავი.

აღნიშნულ საქმეზე მიმდინარე გამოძიებისას 2017 წლის 23 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ გასცა თემირლან მაჩალიკაშვილის დაკავების განჩინება.

2017 წლის 26 დეკემბერს, ღამის საათებში, ახმეტის რაიონის სოფელ დუისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის თანამშრომელმა განხორციელებული გასროლის შედეგად, საცხოვრებელი სახლის საძინებელ ოთახში, თავის არეში დაჭრა თემირლან მაჩალიკაშვილი, რომელიც მოგვიანებით, 2018 წლის 10 იანვარს, გარდაიცვალა.

იმ ფაქტის გასარკვევად, რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის თანამშრომელი და რამდენად წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას მის მიერ სროლის განხორციელება, თბილისის პროკურატურაში ჩატარდა სრულყოფილი და ამომწურავი გამოძიება.

კერძოდ, მოწმის სახით გამოიკითხა 124 პირი, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედება, სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა ათზე მეტი სხვადასხვა სახის ექსპერტიზა.

მოწმის სახით გამოიკითხნენ თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრები და მისი მეზობლები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის 32-ვე თანამშრომელი, რომლებიც ზემოხსენებული 5 პირის დაკავების ოპერაციაში მონაწილეობდნენ. მოწმის სახით გამოიკითხნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის როგორც გამომძიებლები, ასევე ყველა ხელმძღვანელი, ვისაც რაიმე სახის ინფორმაცია გააჩნდა 2017 წლის 26 დეკემბერს ჩატარებული ოპერაციის დაგეგმვასა და განხორციელებასთან.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ თემირლან მაჩალიკაშვილი არ დაემორჩილა სპეცრაზმელის მოთხოვნას ეჩვენებინა მისთვის ხელები, ცადა, საბრძოლო მდგომარეობაში მოეყვანა ხელყუმბარა, რის გამოც მისი მიმართულებით სპეცრაზმელმა განახორციელა გასროლა.

აღნიშნული ხელყუმბარა ამოღებული იქნა საცხოვრებელი ოთახის ჩხრეკის შედეგად, ჩხრეკას ესწრებოდა თემირლან მაჩალიკაშვილის მამა, რომელმაც დაადასტურა ჩხრეკის ოქმში დაფიქსირებული მონაცემების სისწორე. მას რაიმე შენიშვნა ხელყუმბარასთან დაკავშირებით არ განუცხადებია. მან შენიშვნა გააკეთა მხოლოდ ამოღებულ თანხასთან დაკავშირებით, როდესაც განმარტა, რომ თანხა ეკუთვნოდა მის ქალიშვილს. მას შენიშვნა ხელყუმბარასთან დაკავშირებით არ განუცხადებია, რაც ნიშნავს, რომ იგი დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ ხელყუმბარა რეალურად მისი შვილის ოთახიდან იქნა ამოღებული. აღნიშნულ ხელყუმბარაზე კი, 2018 წლის 30 იანვრის ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, არსებული მოწითალო-მოყავისფრო ლაქები წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის შერეული გენეტიკური პროფილების მაჟორული (ძირითადი) წილი თემირლან მაჩალიკაშვილის გენეტიკური პროფილის იდენტურია.

აღნიშნული ხელყუმბარა დაილუქა მალხაზ მაჩალიკაშვილის თანდასწრებით, შემდგომ მისი გახსნა მოხდა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში გამომძიებლის, ექსპერტიზის ბიუროს თანამშრომლების და ორი გამნაღმველის მონაწილეობით.

ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ ლუქის მთლიანობა დარღვეული არ იყო და მათივე მონაწილეობით დაილუქა და ჩაბარდა ექსპერტს“.

პროკურატურის ინფორმაციით, თავად ოჯახის წევრები 2017 წლის 26 დეკემბერს გამოკითხვისას უარყოფენ მათ მიმართ რაიმე სახის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს. აღნიშნულის შესახებ საუბრობენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადვოკატმა წარმოადგინა განცხადება და მოითხოვა მათი განმეორებითი გამოკითხვა.

„დამატებითი გამოკითხვა განხორციელდა 2018 წლის 30 მარტს და მხოლოდ ამ გამოკითხვისას განმარტეს ზემოხსენებული ფაქტების შესახებ და მიზეზად მიუთითეს, თითქოსდა არ ახსოვდათ ამ ფაქტების შესახებ შემთხვევის დღეს. ალოგიკურია, რომ მოწმეებს ფაქტი არ ახსოვდათ რამდენიმე საათში და გაახსენდათ სამი თვის შემდეგ“, – ნათქვამია განცხადებაში.

პროკურატურის ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა მტკიცებულებითი სტანდარტი ტერორისტებისთვის და ტერორისტული ორგანიზაციისთვის მომსახურების გაწევის შესახებ, ასევე ხელყუმბარის ფლობასთან დაკავშირებითაც, საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გამოტანილი იქნა დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ თემირლან მაჩალიკაშვილის გარდაცვალებით გამოწვეული ვითარების შეცვლის გამო.

„რაც შეეხება თავად სუს-ის კონტრტერორისტულ ცენტრში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს, მასზე გრძელდება გამოძიება დანაშაულში ჩართული სხვა პირთა დადგენა-მხილების მიზნით“, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

გიორგი ჯანაშია ციხეს 2021 წელს დატოვებს, გუგა ბარბაქაძის განაჩენი კი ძალაში დარჩა

ხორავას ქუჩაზე დავით სარალიძის მკვლელობაში მსჯავრდებულ გიორგი ჯანაშიასა და გუგა ბარბაქაძის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოაცხადა.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ გიორგი ჯანაშიასთან მხარეთა შორის მიღწეული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა.

გიორგი ჯანაშიას 11 წლითა და 3 თვით მისჯილი წლებიდან საბოლოოდ, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, საიდანაც 4 წელს პენიტენციარულ დაწესებულებაში მოიხდის, დანარჩენი 4 წელი კი პირობითად ჩაეთვლება. მისჯილი წლებიდან გიორგი ჯანაშიას 2 წელი უკვე მოხდილი აქვს, შესაბამისად, ის პენიტენციარულ დაწესებულებას 2021 წელს დატოვებს.

რაც შეეხება ლევან დადუნაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებულ გუგა ბარბაქაძეს, უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა და ის მხოლოდ ლევან დადუნაშვილის მკვლელობაში ცნო დამნაშავედ. ბარბაქაძეს სასჯელიც უცვლელი დარჩა, მას 11 წლითა და 3 თვის ვადით აქვს თავისუფლების აღკვეთა შეფარდებული.

ბარბაქაძის ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის ორივე ეპიზოდთან დაკავშირებით უდანაშაულოდ ცნობას ითხოვდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის განახლებული ცენტრის, „112“-ის, პრეზენტაცია გაიმართა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის, „112“-ის, პრეზენტაციას დაესწრო.

– გაერთიანდა ერთობლივი ოპერაციების ცენტრი და „112“. ერთობლივი ოპერაციების ცენტრი აკონტროლებს საქართველოს მასშტაბით სათვალთვალო ვიდეოკამერებს, როგორც თბილისში, ასევე, რეგიონებში, ქალაქებში, მაგისტრალებზე. „112“ კი ყველასთვის ნაცნობი სამსახურია, ყველა მოქალაქისთვის. მე ვფიქრობ, იქნება უფრო წარმატებული, სწრაფი, რაც მნიშვნელოვანია ამ სამსახურისთვის.

თითოეული წამი და წუთი გადამწყვეტია, როდესაც შემოდის საგანგაშო ზარი, თუნდაც ჯანდაცვის მიმართულებით, ან სახანძრო-სამაშველო, ან პოლიციური – შესაბამისი დანაყოფების მივლინება ინციდენტის ადგილას, რომ მოხდეს სწრაფად. პრეზენტაციაში ვნახავთ, რა შეიცვალა და რა იქნება.

მინდა, ყველას მივულოცო, ახალ და ძველ თანამშრომლებს. მინდა, წარმატება ვუსურვო. მინდა, ყველას მადლობა გითხრათ თანამშრომლობისთვის, კოორდინაციისთვის და წარმატება ვუსურვო ბატონ გიორგის, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეები, სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელები, მომიჯნავე სამსახურის წარმომადგენლები და პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრები.

პრეზენტაციაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცენტრი „112“-ის დირექტორმა, გიორგი არსოშვილმა მინისტრს და მოწვეულ სტუმრებს ახალი ცენტრის უპირატესობები, 2019 წელს წარმატებით განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები და სამომავლო გეგმები გააცნო.

2019 წლის 31 დეკემბერს გაერთიანდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „112“ და ერთობლივი ოპერაციების ცენტრი და ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი, რაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის კრიზისული და გადაუდებელი სიტუაციების დროს მოსახლეობისთვის მიწოდებულ სერვისებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინსტრუმენტებს, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის მეთოდებს.

ღონისძიებაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ის მოქალაქეები დააჯილდოვა, რომლებმაც გადაუდებელი შემთხვევის დროს 112-ზე დარეკეს და გადაარჩინეს უცხო ადამიანების სიცოცხლე. ვახტანგ გომელაურმა, ასევე, დააჯილდოვა 2019 წლის საუკეთესო ოპერატორი, დისპეტჩერი და ჯგუფის უფროსი.

მანქანა ტროტუარზე ავარდა და 8 წლის ბავშვი მოკლა

რა მოხდა ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე

27 იანვარს ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

თვითმხილველების ინფორმაციით, დაღუპულია 8 წლის ბავშვი, ხოლო დაშავებულია მისი ბაბუა, რომლებსაც ავარიის შედეგად ტროტუარზე ავარდნილი ავტომობილი დაეჯახა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

გოგა თავბერიძე პალიასტომის ტბაში დამხრჩვალი იპოვეს

ფოთში, პალიასტომის ტბაში, გარდაცვლილი მამაკაცი იპოვეს.

გოგა თავბერიძე სახლიდან 4 იანვარს გავიდა და მას შემდეგ ოჯახს მის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა.

ახლობლების თქმით, ახალგაზრდა მამაკაცი ბოლოს 8 მარტის ქუჩაზე შენიშნეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება სსკ-ის 115 მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

თბილისში „სპარის“ თანამშრომელ ბ.კ.-ს დაჭრისთვის ლ.ს. დააკავეს

თბილისში „სპარის“ თანამშრომლის დაჭრაში ბრალდებულის დაკავებასთან დაკავშირებით შსს-მ განცხადება გაავრცელა.

შსს-ს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ლ.ს. ცხელ კვალზე დააკავეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 27 იანვარს, თბილისში, მარკეტი „სპარის“ კონსულტანტს – 1995 წელს დაბადებულ ბ.კ.-ს, ორი დღით ადრე მომხდარი კონფლიქტის ნიადაგზე, დანით სხეულზე ერთი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ დაკავებულის პირადი ჩხრეკისას დანაშაულის ჩადენის იარაღი – დასაკეცი დანა, ასევე, პნევმატური პისტოლეტი და გადაჭრილი ორლულიანი სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღო“, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს. ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ბოლტონი ტრამპის წინააღმდეგ

აშშ-ის სენატში გრძელდება მოსმენები პრეზიდენტ ტრამპის იმპიჩმენტის გამო. უკანასკნელმა მოვლენებმა შესაძლოა ტრამპის მდგომარეობა გაართულოს. პრეზიდენტის წინააღმდეგ ამჯერად არა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, არამედ გავლენიანი რესპუბლიკელი გამოვიდა.

საუბარია ჯონ ბოლტონზე, რომელიც ცოტა ხნის წინ ტრამპის გუნდის წევრი და ეროვნული უსაფრთხოების დარგში პრეზიდენტის მრჩეველი იყო.

სკანდალი „ნიუ იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებული სტატიის შემდეგ აზვირთდა. ავტორი ბოლტონის გამოუქვეყნებელ წიგნზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ტრამპმა უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის მართლაც მოსთხოვა კომპრომატი ბაიდენზე, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო დახმარების შეწყვეტით დაემუქრა.

ამან გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია. თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბოლტონმა თავისი წიგნის ხელნაწერი თეთრ სახლს გადასცა, მაგრამ არ გაასაჯაროვა.

– წიგნში მოყვანილი ინფორმაციის გასაჯაროება მათ მიერ მოხდა, ვისაც წიგნთან საერთო არაფერი აქვს, – ამტკიცებს თეთრი სახლის წარმომადგენელი.

გაზეთში გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ ტრამპი გააბრაზა. ჟურალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ „ნიუ იორკ ტაიმსს“ ინფორმაცია პირადად ბოლტონმა მიაწოდა.

– მას სურს, რომ ამ გზით თავისი წიგნის რაც შეიძლება მეტი ეგზემპლარის გაყიდვას მიაღწიოს, – თქვა ტრამპმა.

დემოკრატიული პარტიის წევრები თავის მხრივ მოითხოვენ, რომ ბოლტონმა მოწმის რანგში სენატს ჩვენება მისცეს.

თუ ეს მოხდა, ამით ტრამპის მდგომარეობა გაუარესდება. ბოლტონი, რომელიც ტრამპის მრჩეველი იყო, უამრავ ინფორმაციას ფლობს. მას მართლაც შეუძლია, პრეზიდენტს პრობლემები შეუქმნას. ამას გარდა, ბოლტონის უკან რესპუბლიკური პარტიის გავლენიანი წრეები დგანან. თუკი მათ მხარი ბოლტონს დაუჭირეს, ტრამპს შესაძლოა ხელისუფლების შენარჩუნება გაუჭირდეს.

„ნიუ იორკ ტაიმსის“ სტატია ერთადერთი სკანდალური მასალა არაა. მას წინ უსწრებდა ვიდეო, საიდანაც ასევე ჩანდა, რომ ტრამპი უკრაინის პრეზიდენტისგან ბაიდენზე კომპრომატს მოითხოვდა.

თუ რამდენად საკმარისია ეს პრეზიდენტის იმპიჩმენტისათვის, ამის თაობაზე ექსპერტები საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამენ, ბოლტონის სიტყვებმა კი შესაძლოა ტრამპის კარიერას მართლაც წერტილი დაუსვას.

ისმის კითხვა: რამდენად გულახდილი იქნება ექს-მრჩეველი? თუ კონგრესმა მაინც გამოუცხადა ტრამპს იმპიჩმენტი, ეს რესპუბლიკური პარტიის ბევრი გავლენიანი სენატორის კარიერის დასასრულს გამოიწვევს.

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ „მწვანე ბარათის“ მიღების პირობის გამკაცრების ძალაში შესვლას მხარი დაუჭირა

აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც, იმ ლეგალური მიგრანტებისთვის, რომლებიც აშშ-ში სოციალური დახმარებით სარგებლობას საჭიროებენ, „მწვანე ბარათის“ მიღება რთულდება.

უზენაესმა სასამართლომ 5 ხმით 4-ის წინააღმდეგ გააუქმა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც აღნიშნული ნორმა დაბლოკა.

გადაწყვეტილება ტრამპის ადმინისტრაციას შესაძლებლობას აძლევს, კანონის ახალი ნორმა მთელს ქვეყანაში დაამკვიდროს, გარდა ილინოისის შტატისა, სადაც ქვედა ინსტანციამ მისი განხორციელება დაბლოკა.

სარჩელები ტრამპის ადმინისტრაციის წინააღმდეგ ნიუ-იორკის, კონექტიკუტისა და ვერმონტის შტატების, ასევე ნიუ-იორკ სითისა და რა რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ იყო შეტანილი.

შეგახსენებთ, კანონპროექტით აშშ ლეგალური მიგრანტებისთვის „მწვანე ბარათის“ მიღების პირობებს ამკაცრებს. კერძოდ, მწვანე ბარათის მიღება ყველაზე მეტად გაურთულდებათ იმ ლეგალურ მიგრანტებს, რომლებიც აშშ-ში სოციალური დახმარებით სარგებლობას საჭიროებენ.

ახალი წესის თანახმად, საიმიგრაციო ოფისები განიხილავენ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა ასაკი, განათლებისა და ინგლისური ენის ცოდნის დონე, რათა დაადგინონ, მიგრანტი აშშ-ში ფინანსურად დამოუკიდებელ ცხოვრებას შეძლებს, თუ სოციალური დახმარება დასჭირდება.

თურქეთში მიწისძვრის შემდეგ 1.000-მდე განმეორებითი მიწისქვეშა ბიძგი დაფიქსირდა

თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ ქვეყანაში 1.000-მდე განმეორებითი მიწისქვეშა ბიძგი დაფიქსირდა, მათ შორის 21 4 მაგნიტუდას აღწევდა.

24 იანვარს თურქეთის სამხრეთ ნაწილში 6,8 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა.

მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა 41-მდე გაიზარდა,

დაშავებულთა რაოდენობამ კი 1.600-ს მიაღწია.

ბოლო დღეების განმავლობაში მაშველებმა ნანგრევებიდან სულ მცირე 45 ადამიანი ამოიყვანეს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ღვინის საწარმოს თანამშრომელმა შეცდომით 17 ათასი ლიტრი ღვინო კანალიზაციაში გაუშვა

კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციის ქალაქ კელოუნში ღვინის მწარმოებელი საწარმოს Mission Hill-ს თანამშრომელმა შეცდომით რამდენიმე ათასი ლიტრი ღვინო კანალიზაციაში გაუშვა და სამსახურის გარეშე დარჩა.

ბრენტ კროვიე ღვინის მწარმოებელ საწარმოში ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე მუშაობდა. მის მოვალეობას წარმოადგენდა ღვინის შერევა და მათი ავზებში გადანაწილება. კერძოდ, კროვიეს თვალი უნდა ედევნებინა იმისთვის, რომ მილები, რომლითაც ღვინის ავზებში გადაქაჩვა ხდებოდა, სათანადოდ ყოფილიყო მიერთებული მათთან. ღვინის გადასხმის დროს მას ყოველ თხუთმეტწუთში უნდა შეემოწმებინა მათი მდგომარეობა.

2018 წლის 19 ნოემბერს ერთ-ერთი ჩამკეტი ღვინის გადატვირთვის დროს ღია დარჩა. ამის შედეგად 5,6 ათასი ლიტრი ღვინო სავინიონ ბლანი იატაკზე დაიღვარა და კანალიზაციაში წავიდა. Mission Hill-ს ხელმძღვანელობამ საწარმოსთვის მიყენებული ზარალი 162,5 ათას კანადურ დოლარად შეაფასა.



მომხდარიდან ერთ თვეში კროვიემ მიიღო წერილი, რომელშიც ეწერა, რომ მას სამსახურიდან სამსახურებრივი გულგრილობის და საკუთარი მოვალეობის შეუსრულებლობის მიზეზით ათავისუფლებდნენ. მან ყოფილი დამსაქმებლის წინააღმდეგ სარჩელი საარბიტრაჟო სასამართლოში შეიტანა.

საწარმოს ხელმძღვანელობის მტკიცებით, კროვიემ მილების მდგომარეობის შემოწმება 20 წუთის შემდეგ დაიწყო, მას შემდეგ, როდესაც მიხვდა, რომ ღვინო იატაკზე იღვრებოდა. ამასთან ეს ამ თანამშრომლისთვის პირველი შემთხვევა არ ყოფილა. 2017 წელს კროვიემ ანალოგიური შეცდომა დაუშვა და მაშინ კანალიზაციაში 11 ათასი ლიტრი ღვინო ჩაიღვარა. იმ შემთხვევის შემდეგ თანამშრომელმა ხელმძღვანელობის წინაშე მოიბოდიშა და პირობა დადო, რომ შემდგომში უფრო ყურადღებით მოიქცეოდა.

– მან მიცემული პირობის შესრულება ვერ შეძლო, – ნათქვამია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ ღვინის საწარმოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება კროვიეს სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე, ზედმეტად მკაცრი დისციპლინარული სასჯელი არ ყოფილა. დადგენილებაში ნათქვამია, რომ საწარმოს 50-წლიან ისტორიაში მხოლოდ ორ ინციდენტს ჰქონდა ადგილი და ორივე კროვიეს მოქმედებას უკავშირდება.

ავსტრალიელები შხამიანი ობობების შემოსევის თაობაზე გააფრთხილეს

ავსტრალიის ქალაქ სიდნეის სახიფათო ობობების იტრახ რობუსტუს-ის შემოსევის საფრთხე ემუქრება. მათი ნაკბენი ადამიანის სიცოცხლისთვის სასიკვდილო საფრთხის შემცველი შეიძლება აღმოჩნდეს.

ობობების აქტიურობის ზრდის თაობაზე გაფრთხილება ავსტრალიის რეპტილიების პარკმა გავრცელა, რომელიც აღნიშნული ობობის შხამის საწინააღმდეგო წამლის ერთადერთი დამამზადებელია. ობობებისა და რეპტილიების განყოფილების თანამშრომლის ჯეიკა მენის თქმით, ეს ფეხსახსრიანები უპირატესობას ცივ და ნესტიან ადგილებს ანიჭებენ, ამიტომ შესაძლოა მათ დაიბუდონ სამრეცხაო ოთახებში, ავტოფარეხში ან სულაც მიწაზე დაგდებულ ფეხსაცმელში.

სპეციალისტები შხამიანი ობობების გააქტიურებას რამდენიმე ფაქტორს უკავშირებენ. მნიშვნელოვან როლს თამაშობს თბილი ამინდი, რომელმაც სიდნეიში წვიმიანი ამინდები ჩაანაცვლა, ასევე ამ ობობების შეჯვარების დროს განსაკუთრებულ ქცევებს.

– ღამის საათებში მამრები, რომლებიც განსაკუთრებით სახიფათონი არიან ადამიანებისთვის, მდედრების მოსაძებნად გამოდიან, – განმარტავს სიდნეის უნივერსიტეტის პროფესორი დიტერ ჰოჩული.

მამამ ბავშვზე პუმის თავდასხმა ზურგჩანთით მოიგერია

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლეიკ-ფორესტში პუმა სამი წლის ბავშვს თავს დაესხა.

პატარა ბიჭი თავის ხუთ ნათესავთან ერთად პარკ უაიტინგ რანჩ უაილდერნესში სეირნობდა. მოულოდნელად ხეების უკნიდან პუმა გამოვარდა და ბავშვს თავს დაესხა. მტაცებელმა ბიჭს კბილები კისერში ჩაავლო. ბავშვის მამამ ცხოველს ზურგჩანთა ესროლა, რათა მტაცებელი შვილისთვის მოეშორებინა.

ცხოველმა ბავშვს მართლაც გაუშვა პირი, კბილებით ზურგჩანთას ჩააფრინდა და ხეზე ასტა. ბიჭი დაუყოვნებლივ ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას კისერი აქვს დაშავებული და, ექიმების ცნობით, სტაბილურ მდგომარეობაში იმყოფება.

ბუნების დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა ადგილობრივ ხელისუფლებას თავდამსხმელი პუმის მოკვლის ნებართვა მისცეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით ნეგატიური და ნერვული სტრესებით გამოწვეულ პრობლემებს: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, დეპრესიას, ძილში შფოთს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ოჯახურ პრობლემებს. ნუ დაელოდებით, თქვენ გარშემო მყოფი თავს როდის მოიკლავს ან ჩამოუყალიბდება შიზოფრენია. ჩვენ ხომ მისი გადარჩენა შეგვიძლია. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული, ოფისი №777. ტელ: 599-49-84-23, ნანა ქიბროწაშვილი, ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

კობი ბრაიანტის შვეულმფრენს პილოტი არა ზობაიანი მართავდა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

პირველად მხოლოდ 6 მათგანი იყო ცნობილი: კობი ბრაიანტი და მისი ქალიშვილი ჯიანა ბრაიანტი, კალათბურთის მწვრთნელი ჯონ ალტობელი, მისი მეუღლე კერი და ქალიშვილი ალისა და კალათბურთის მწვრთნელი კრისტინა მაუსერი. მოგვიანებით დადგინდა კიდევ 3 გარდაცვლილის ვინაობა – სარა ჩესტერი, მისი ქალიშვილი პაიტონი და პილოტი არა ზობაიანი.

ბრაიანტის ყოფილი პილოტი კურტ დიცი კალათბურთის ლეგენდის ავიაკატასტროფას გამოეხმაურა. ის აქებს სიკორსკი ს-76ბ ტიპის შვეულმფრენს და მოიხსენიებს, როგორც საიმედო ვერტმფრენს, რომელიც „ციდან უბრალოდ არ ცვივა“.

კურტ დიცი:

– ეს არის საჰაერო ლიმუზინი, ფანტასტიკურ მდგომარეობაში, თუმცა საკმაოდ კომპლექსური. ამიტომაც შვეულმფრენი აუცილებლად უნდა მართოს ძალზე გამოცდილმა პილოტმა, რომელსაც 2-ძრავიანი საფრენი აპარატების მართვის რამდენიმე ათასსაათიანი ფრენის გამოცდილება უნდა ჰქონდეს.

დიცი 2015 წელს იყო კობი ბრაიანტის პილოტი. არა ზობაიანი, რომელიც მართავდა ტრაგედიის დროს შვეულმფრენს, ასევე ძალზე გამოცდილი პილოტია, ამიტომაც დიცს მიიჩნია, რომ ტრაგედიის მიზეზი ამინდი უნდა იყოს და არა მექანიკური ან სხვა სახის პრობლემები.

ეს ვერსია აქვს პოლიციასაც. უკვე დადგენილია მარშრუტი, თუ როგორ მოძრაობდა ვერტმფრენი და რა იყო ამის მიზეზი.

კობის შვეულმფრენი კალიფორნიის დროით კვირას დილით, ჯონ უეინის აეროპორტიდან აფრინდა, რომელიც ბრაიანტის სახლთან ახლოს, ნიუპორტ ბიჩზე მდებარეობს. მასთან ერთად იმყოფებოდა მისი 13 წლის ქალიშვილიც. გაუგებარია, რატომ აფრინდა შვეულმფრენი საერთოდ, რადგან ფრენისთვის ცუდი ამინდი იყო და მინიმალურ სტანდარტსაც არ აკმაყოფილებდა, რაც ოფიციალურად დადასტურებულია.

ასევე ითქვა, რომ იმ რეგიონისთვის, სადაც კობის შვეულმფრენი ჩამოვარდა, ასეთი ნისლი უჩვეულოა. ნისლის გამო თვით პოლიციამაც კი არ ააფრინა შვეულმფრენები, თუმცა, ფრენა აკრძალული მაინც არ იყო.

ექსპერტი გერჰარდ ჰეგმანი:

– ეს მისი პირადი შვეულმფრენი იყო, რომლითაც ძალიან ხშირად დაფრინავდა. აღსანიშნავია, რომ ეს საკმაოდ ძველი მოდელია, მაგრამ საერთო ჯამში სანდო შვეულმფრენია.

შვეულმფრენმა დაბალ სიმაღლეზე, ლოს ანჯელესის ზოოპარკს 6-ჯერ შემოუფრინა, მერე კი ჩრდილოეთისკენ აიღო გეზი. პილოტს კონტაქტი ჰქონდა კონტროლიორებთან.

– 6 წრის დარტყმა იმაზე მიუთითებს, რომ პილოტი არ იყო დარწმუნებული უსაფრთხოებაში და ფრენის შეწყვეტაზე ფიქრობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მოლოდინის რეჟიმში იყო და ფიქრობდა, გაფრენილიყო, თუ არა.

შემდეგ იყო ფრენა ავტობან 118-ის თავზე, მერე კი კურსი დასავლეთის მიმართულებით შეცვალა და ავტობან 101-ის თავზე გადავიდა, რის შემდეგაც სამხრეთისკენ, მთებისკენ გაფრინდა.

– ეს იმაზე მიუთითებს, რომ ხილვადობა ცუდი იყო. როგორც ჩანს, პილოტი ავტობანით ახერხებდა ორიენტირებას.

შვეულმფრენი, დიდი ალბათობით, ბორცვს გამოედო და ამის შემდეგ ჩამოვარდა, მისი სიჩქარე დაახლოებით 300 კმ/სთ იყო. 10 საათსა და 01 წუთზე 911-ში პირველი ზარი შევიდა.

თვითმხილველი ამბობს:

– ძალიან დაბალ სიმაღლეზე მიფრინავდა, გამოსცემდა უჩვეულო ხმას. ბურუსი იყო, მაგრამ მაინც ვხედავდი, როგორ ვარდებოდა. შემდეგ გაისმა გრუხუნი და ავარდა კვამლი. შვეულმფრენი ცეცხლის ალში გაეხვა და იქ ვერავინ გადარჩებოდა.

პილოტმა დაბალ სიმაღლეზე ფრენა, დიდი ალბათობით, ცუდი ხილვადობის გამო არჩია.

მსხვერპლი გაცილებით დიდი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ არა შვეულმფრენის პილოტის მოქმედება. იუწყებიან, რომ 50 წლის მფრინავმა არა ზობაიანმა ბოლო მომენტში მოახერხა საფრენი აპარატის დასახლებული ტერიტორიიდან გარიდება.

რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნები გადაიდო

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტის არჩევნები, 2020 წლის 30 იანვრის ნაცვლად, 24 თებერვალს გაიმართება.

რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარის, დიმიტრი კალანდაძის განცხადებით, არჩევნების ვადის გადაწევის თხოვნით მათ ორმა საპრეზიდენტო კანდიდატმა მიმართა:

დიმიტრი კალანდაძე:

– საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის სახელზე 2 საპრეზიდენტო კანდიდატის – ბაჩო ხურციძისა და ირაკლი აბუსერიძის განცხადება შემოვიდა. ჩატარდა გამგეობის სხდომა და იმისათვის, რომ საპრეზიდენტო კანდიდატებს თავიანთი კამპანიის ჩასატარებლად მეტი დრო ჰქონდეთ, წესდებით გათვალისწინებულ ვადებში მივიღეთ საპრეზიდენტო არჩევნების 24 თებერვალს გადატანის გადაწყვეტილება.

ბრიფინგს ესწრებოდა რაგბის კავშირის მოქმედი პრეზიდენტი გოჩა სვანიძე, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატი და გამგეობის წევრია. ის არჩევნების ვადის გადაწევის ინიციატივით გამოვიდა და დამატებითი განმარტება გააკეთა:

გოჩა სვანიძე:

– ხურციძეს დოკუმენტების გაცნობა, ხოლო აბუსერიძეს საარჩევნო კამპანიის სრულყოფილად წარმართვა სურდა და ამისათვის დრო არ ეყოთ. გამგეობის წევრთა ნაწილი არჩევნების გადატანას არ ემხრობოდა. მათ მივმართე თხოვნით, რომ განცხადება დაკმაყოფილებულიყო, რათა გავაქარწყლოთ ჭორები, თითქოს რაგბის სამყაროში განხეთქილებაა. ჩვენი კარი ყოველთვის ღია იყო, ასე იქნება მომავალშიც და თუ ამ პერიოდში მეტი პოზიტიური ნაბიჯის გადადგმა შეიძლება, ჩვენ ამისათვის მუდამ მზად ვართ.

საბურთალომ ნიდერლანდელი ფეხბურთელები დაიმატა

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში კიდევ 2 ნიდერლანდელი ფეხბურთელი ითამაშებს. რამდენად გამოადგებიან ეროვნულ ლიგას, ამას მომავალი სეზონი გვიჩვენებს, რომელიც 29 თებერვალს დაიწყება.

ჟეროენ ლუმუ დედაქალაქურ საბურთალოში ითამაშებს – ამპლუით მარჯვენა შემტევმა თბილისურ კლუბთან 1+1 ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. ფეხბურთელი უკვე თბილისშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს.

საბურთალოს ახალწვეული ჰოლანდიის 17-წლამდე ნაკრებთან ერთად 2012 წლის ევროპის ჩემპიონია. ლუმუს ბოლო კლუბი პორტუგალიური აროუკა იყო, ხოლო მანამდე ისეთ ევროპულ კლუბებში უთამაშია, როგორებიცაა: ჰოლანდიური ტილბურგი, ჰერენვენი და დორდრეხტი, ავსტრიული ზანკტ პაული, თურქული სამსუნსპორი, რუმინული პეტროლული და ბულგარული ლუდოგორეცი. სწორედ ლუდოგორეცის შემადგენლობაში გახდა ლუმუ ქვეყნის ჩემპიონი, ასევე თასისა და სუპერთასის გამარჯვებული. ჰოლანდიელს კარიერაში 18 გატანილი გოლი აქვს.

საბურთალოშივე ითამაშებს 25 წლის ჯულიუს ბლეიკი. ამპლუით ცენტრალური მარცხენა მცველი, რომელიც 188 სანტიმეტრია, ბოლოს ჰოლანდიის პირველი დივიზიონის იგლზში თამაშობდა. წლეულს იგლზი მოწინავეთა შორის იმყოფება და ერედივიზიონში (უმაღლესი ლიგა) გადასვლას გეგმავს. ბლეიკი 2017-18 წლების სეზონში ასევე ჰოლანდიის პირველი დივიზიონის დორდეხტში ასპარეზობდა.

დედაქალაქურ კლუბს შეავსებს 28 წლის მეკარე დავით კუპატაძე, რომელიც ბოლოს ტაჯიკეთის ხუჯანდაში თამაშობდა – ახალწვეულმა 1 წლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი.

ტაჯიკეთამდე კუპატაძე საქართველოში ასპარეზობდა და სამტრედიის, ქობულეთის შუქურას, მარტვილის მერანის, წყალტუბოს სამგურალის, საჩხერის ჩიხურას, ზესტაფონისა და ქუთაისის ტორპედოს მაისური მოურგია.

საბურთალოს დაემშვიდობა 31 წლის გიორგი რეხვიაშვილი. ამპლუით მცველი საბურთალოში 2018 წლიდან თამაშობდა. 2019 წლის ნახევარი სეზონი ბერძნულ ლევადიაკოსში გაატარა, ხოლო შემდეგ ისევ დედაქალაქურ კლუბს დაუბრუნდა. რეხვიაშვილი საბურთალოში ჯერ ქვეყნის ჩემპიონი, შემდეგ კი დავით ყიფიანის თასის მფლობელი გახდა.

საქართველოს თასის ოთხთა ფინალში თბილისური გუნდები გავიდნენ

საქართველოს თასის გათამაშების ნახევარფინალისტები ცნობილია. ისე მოხდა, რომ ოთხთა ფინალის საგზური მხოლოდ თბილისურმა გუნდებმა მოიპოვეს, ესენია მგზავრები, ტიტები, თსუ და ოლიმპი.

თასის გათამაშება მეთექვსმეტედფინალიდან დაიწყო და ფლეი ოფი 2-მატჩიანი სერიებით წარიმართა. საუკეთესო 4 გუნდი კი ოთხთა ფინალში საქართველოს თასის მოსაპოვებლად იბრძოლებს, სადაც სერიები აღარ გაიმართება და როგორც ნახევარფინალები, ისე ფინალი, ერთმატჩიანი იქნება. ნახევარფინალისტები ასე დაწყვილდნენ: თსუ-ტიტები და ოლიმპი-მგზავრები. ოთხთა ფინალი თბილისში აპრილში გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მიშველიძის 3 ვერცხლი მსოფლიო თასზე

რომში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიო თასზე ტოკიოს 2020 წლის ოლიმპიური თამაშების საღიცენზიო ქულები თამაშდება, ამიტომაც ჩვენს ყურადღებას უფრო მეტად იპყრობს.

იტალიაში შოთა მიშველიძემ 3 ვერცხლის მედლის მოპოვება შეძლო და სალიცენზიო ქულების მოგროვებას შეუდგა. დიდი ალბათობით, ჩვენებური ამას მოახერხებს.

61 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ქართველმა ატაცში სამივე მისვლა წარმატებით გამოიყენა – 123 კილოგრამით დაიწყო და 131-ით დაასრულა, რაც მე-2 ადგილის დასაკავებლად აღმოჩნდა საკმარისი.

მიშველიძემ აკვრაშიც სამივე მისვლა გამოიყენა – ჯერ 145 აკრა, შემდეგ – 151 და ბოლოს 155 კილოგრამს გაართვა თავი. შედეგად, ჩვენებურს აქაც მცირე ვერცხლის მედალი ერგო.

მიშველიძემ ორჭიდის ჯამში დაგროვებული 286 კილოგრამითაც მე-2 შედეგი დააფიქსირა.

შედეგები

27 იანვარი
ფეხბურთი

ინგლისი. ასოციაციის თასი
ბორნმუთი-არსენალი 1:2
იტალია. სერია ბ
პერუჯა-ლივორნო 1:0
საფრანგეთი. ლიგა 2
ლე ავრი-ტრუა 1:0
ჰოლანდია. პირველი ლიგა
გიმარაეში-რიუ ავე 1:2
საბერძნეთი. სუპერლიგა
პაოკი-ვოლოსი 1:0
ლამია-ასტერასი 1:1
სივასი-რიზე 1:1

სამგლოვიარო განცხადებები

ნოდარ ჩიბალაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა სიყრმის მეგობარი, თანაკურსელი, ენგურის ჰესის მშენებლობის ყოფილი უფროსი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და ენერგეტიკოსი

თამაზ ქოქოსაძე

თანაგრძნობას უცხადებს მის დიდ ოჯახსა და მრავალრიცხოვან შთამომავლობას.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ყურძნის კრეფა; 2. კურსი, რომლითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას; 3. უფესვო-სპოროვანი მცენარე; 5. ამერიკელი მოცურავე, ოცდასამი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი; 6. რგოლისებრი მარჯნის კუნძული; 7. დებულება, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 11. რაიონული ცენტრი სვანეთში; 13. კომპიუტერული თამაშების მოყვარული ადამიანი; 14. ხელოვნური წყალსაცავი რაჭაში; 15. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 16. რაიონული ცენტრი იმერეთში; 17. ტბა სამხრეთ საქართველოში; 19. მანძილის საზომი ერთეული ბრიტანეთში; 20. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჯელესში.

თარაზულად: 1. ფლანდრიელი მხატვარი; 4. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 8. ქვანახშირის უჰაეროდ გახურებით მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი; 9. პოლიტიკური პარტია საქართველოში; 10. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 12. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 14. დიდი საკარიდამო მამული საფრანგეთში; 15. ყველაზე წვრილი ფული ბრიტანეთში; 16. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. კათოლიკური ჯვარი; 21. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 22. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 23. დიპლომატიური პროტესტის ერთ-ერთი ფორმა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ფარაონი; 2. აპატრიდი; 3. წირქოლი; 5. სელადონი; 7. დიოგენი; 9. ტახომეტრი; 13. მორთული; 15. ლეჟავა; 16. ლოზანა; 18. ტროპი.

თარაზულად: 4. კავასაკი; 6. დეპრესია; 8. მაღალაშვილი; 10. ლაგვარი; 11. ხალი; 12. ონიქსი; 14. ალუვი; 17. ჭერხო; 19. აჟური; 20. სამთავრო; 21. იგლუ; 27. მანჭკვალა; 23. სიმენსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ყვანჯი; 2. ზვავი; 3. მუზა; 5. შუქურა; 6. თხილი; 7. ჯანაოზი; 11. ხენდრო; 13. ალაზანი; 14. აბუჯა; 15. სლალომი; 16. სადროშო; 17. სოკარი; 19. ეპოქა; 20. ალბა.

თარაზულად: 1. ყაზარმა; 4 ჰერში; 8. ზვარი; 9. ქუჯი; 10. ნავახა; 12. კაიზერი; 14. აიდა; 15. სინაგოგა; 16. სტუკო; 18. კოლიე; 21. კასიო; 22. შარბათი; 23. ქორწილი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

29 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8929	ევრო — 3.1871
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7642	100 რუსული რუბლი — 4.6313

ამინდის პროგნოზი 29 იანვრისთვის



28 იანვრიდან ბიბლიური იგავები

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

ჯანეტ ქერდიყოშვილი და ნოე სულაბერიძე გოგონას მშობლები გახდნენ

28 იანვარს პროდიუსერი ნოე სულაბერიძე და მოდელი ჯანეტ ქერდიყოშვილი გოგონას მშობლები გახდნენ.

პატარა ჩაჩავას კლინიკაში 3.400 კგ და 51 სმ დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს.

ნოემ და ჯანეტმა ახალშობილს ანნა დაარქვეს. ნოესთვის ეს მესამე შვილია. მას პირველი ქორწინებიდან ბიჭი, მეორე ქორწინებიდან კი გოგო ჰყავს.

ანიტა რაჭველიშვილი ტელევიზიებში სტუმრობაზე უარს აცხადებს

მეცოსოპრანო ანიტა რაჭველიშვილი ტელევიზიებში სტუმრობაზე უარს აცხადებს და ჟურნალისტებს საჯარო განცხადებითაც მიმართავს:

– ჩემო ძვირფასო ჟურნალისტებო! ჩემი მეორე სონის დისკის ჩაწერა მიმდინარეობს ამ დღეებში და ამიტომ ტელეფონს არ ვეკარები.

სამწუხაროდ, ვერ მოვალ ვერც ერთ არხზე, რადგან ჩაწერის მერე მივფრინავ ჩიკაგოში.

ძალიან დიდი მადლობა ყურადღებისთვის და გთხოვთ, დავით ქაცარავას და ჩვენს საოცარ პატრიოტებს მიაქციოთ ყურადღება და ასევე ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ მოკლული ჯანმრთელი ძაღლებით დაინტერესდეთ.

„დიდი სცენა“ ქეთა ჭიჭინაძემ დატოვა

მუსიკალური შოუ „დიდი სცენა“ ქეთა ჭიჭინაძემ დატოვა. იგი გასულ საკონკურსო ტურში გავარდნის კანდიდატი ანანო ჩიტაიშვილთან ერთად გახდა.

შოუს დასაწყისში მათ დუეტი შეასრულეს, ყველაზე ნაკლები ხმა ქეთამ დააგროვა და შოუსაც გამოეთიშა.

მომავალ კვირას შოუს ან ანანო ჩიტაიშვილი ან მარიამ ქაჯაია დატოვებს. სწორედ ისინი არიან გავარდნის კანდიდატები.

მსოფლიო ჰიტების ტურის ლიდერი ცოტნე გელოვანი გახდა, რომელმაც მაიკლ ჯექსონის ერთ-ერთი უკვდავი სიმღერა „ბილი ჯინი“ შეასრულა.

შემდეგ კვირას კონკურსანტები როკ მუსიკის ტურს შემოგვთავაზებენ.

ასტროპროგნოზი

29 იანვრისთვის

ვერძი – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორ ხარ, როგორ მიდის ცხოვრება?

– ბუზებს რომ მოეწონებათ...

●●●

ცოლი ქმარს სამზარეულოდან გამოსძახებს:

– ძვირფასო, შენ ობიანი ყველი გიყვარს?

– ძალიან!

– მაშინ ძეხვიც მოგეწონება...

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, შეგიძლია გამიმხილო შენი სიმშვიდის საიდუმლო? როგორ ახერხებ ჩემი ღრიალის შემდეგ ასე მშვიდად ყოფნას?

– უბრალოდ, მივდივარ და უნიტაზს ვხეხავ.

– კი მაგრამ, ეგ სიმშვიდის შენარჩუნებაში როგორ გეხმარება?

– უნიტაზს შენი კბილის ჯაგრისით ვხეხავ!

●●●

ქალი ექიმს ეუბნება:

– ცუდად ვარ, ექიმო.

– გაიხადეთ და ტახტზე დაწექით.

– ექიმო, მაგის დროა ახლა? ცუდად ვარ!

კობი ბრაიანტის შვეულმფრენს პილოტი არა ზობაიანი მართავდა

ცუდი ხილვადობის გამო ის ბორცვს გამოედო, რამაც კატასტროფა გამოიწვია

მთელი მსოფლიო კალათბურთის ლეგენდას, კობი ბრაიანტს გლოვობს და ყველას ერთი კითხვა უტრიალებს: როგორ შეიძლებოდა, რომ ეს მომხდარიყო?

კატასტროფას 9 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა – აქედან 3 არასრულწლოვანი. გაირკვა ყველა დაღუპულის ვინაობა. თავდა-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ფრენკ ლამპარდი: „კობი ბრაიანტი მთლიანად სპორტის ლეგენდა იყო“

ჩელსის მთავარი მწვრთნელი ფრენკ ლამპარდი კობი ბრაიანტის დაღუპვას გამოეხმაურა და თქვა, რომ ლამპარდი არა მხოლოდ კალათბურთის, არამედ მთლიანად სპორტის ლეგენდა იყო:

– ვწუხვარ, რომ მას ახლოს არ ვიცნობდი, რადგან ის სპორტში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა იყო. მინდა, მის ოჯახს მივუსამძიმრო და მხნეობა ვუსურვო. როდესაც ასეთი ადამიანი იღუპება, ეს უდიდესი ტრაგედიაა.

ნოვაკ ჯოკოვიჩი ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გავიდა

მსოფლიოს მეორე ჩოგანი, სერბი ნოვაკ ჯოკოვიჩი, ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში გავიდა.

მეოთხედფინალში მან კანადელი მილოშ რაონიჩი სამ სეტში დაამარცხა ანგარიშით 6:4, 6:3, 7:6.

აღსანიშნავია, რომ აქამდე რაონიჩს ტურნირზე არც ერთი სეტი არ ჰქონდა წაგებული. ჯოკოვიჩს თითქმის არ შეჰქმნია პრობლემები რაონიჩთან, თუ მესამე სეტს არ ჩავთვლით, სადაც რაონიჩმა გაიბრძოლა, მაგრამ ტაიბრეიკზე უშანსოდ წააგო.

ნახევარფინალში ჯოკოვიჩი როჯერ ფედერერს დაუპირისპირდება და სერბი ჩოგბურთელი აშკარა ფავორიტად ითვლება.

ტომას მიულერმა ნიკო კოვაჩი გააკრიტიკა

ბაიერნის ერთ-ერთმა ლიდერმა ტომას მიულერმა ყოფილი მთავარი მწვრთნელი ნიკო კოვაჩი გააკრიტიკა და თქვა, რომ მისი მეთოდები არაეფექტური იყო.

მიულერის აზრით, კოვაჩის წასვლის შემდეგ ბაიერნი გაცილებით უკეთ ათამაშდა:

– მახსოვს, რომ კარგ ფორმაში ვიყავი და კოვაჩმა ზედიზედ რამდენიმე შეხვედრაში არ მათამაშა. ეს, პირველ რიგში, გუნდისთვის იყო საზიანო და შედეგებიც შესაბამისი გვქონდა. ბოლო პერიოდში გაცილებით უკეთესად ვთამაშობთ და ეს ახალი მწვრთნელის დამსახურებაა.

კოვაჩი თანამდებობიდან ნოემბრის ბოლოს გაუშვეს.

ბენ არფა კარიერას ვალიადოლიდში გააგრძელებს

ჰატემ ბენ არფა კარიერას ესპანურ ვალიადოლიდში გააგრძელებს. ფრანგი ფეხბურთელი უკვე ესპანეთშია და ის ვალიადოლიდთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ბენ არფა ზაფხულის მერე უგუნდოდ იყო და მან ბოლო რამდენიმე წელიწადი პსჟ-ში გაატარა, სადაც მოედანზე თითქმის არ გამოდიოდა.

ბენ არფა ერთი პერიოდი საფრანგეთში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლებოდა, მაგრამ მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა.

ფრენკი დე იონგი: „ბევრ შეცდომას ვუშვებ“

ბარსელონის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა ფრენკი დე იონგმა განაცხადა, რომ ის ბევრ შეცდომას უშვებს და ბარსელონის ცუდი შედეგები დიდწილად ნახევარდაცვის სუსტი თამაშის ბრალია.

მიუხედავად ამისა, დე იონგი დარწმუნებულია, რომ ის თამაშს გამოასწორებს:

– ვფიქრობ, ჩემი შეცდომები გამოუცდელობის ბრალია და ამას აუცილებლად გამოვასწორებ. ბოლო შეხვედრებში ბევრი ქულა დავკარგეთ, რაც შეცდომების ბრალიც იყო, რადგან ნახევარდაცვა ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ლუკა ჭოხონელიძე „მხოლოდ ქართულს“ ნახევარფინალიდან გამოეთიშა

მომღერალი ლუკა ჭოხონელიძე „მხოლოდ ქართულის“ მესამე სეზონის ფინალისტებს შორის ვერ მოხვდა. იგი შოუს ნახევარფინალიდან გამოეთიშა. კონკურსანტებმა ორი ტური იმღერეს. პირველ ტურში ლელა წურწუმიას სიმღერები შეასრულებს, მეორე ტურში კი – სტეფანე მღებრიშვილის.

მაყურებლის და ჟიურის გადაწყვეტილებით, ფინალისტები გახდნენ ანა ქურთუბაძე, თამთა ხუხუნაიშვილი, ნინი შონია და გიორგი ძოწენიძე.

პროექტის ხელმძღვანელმა ნიკა გვარამიამ ჟიურის მოუწოდა, თუ სურვილი ექნებოდა, გამოეყენებინა ვეტოს უფლება და თუკი ჟიურის სამი წევრი ლუკას პროექტში დარჩენას მხარს დაუჭერდა, ის პროექტში დარჩებოდა. გიორგი გაბუნიამ განაცხადა, რომ ეს დანარჩენ კონკურსანტებთან მიმართებაში უსამართლობა იქნებოდა, რადგან მათი შრომა ამაო გამოდიოდა. გიორგის დაეთანხმნენ სტეფანე და სოფო, მათი განცხადებით კონკურსი კონკურსია და მას აქვს თავისი წესები, ამიტომ ლუკამ „მხოლოდ ქართული“ დატოვა.

ლუკამ ნახევარფინალში დედის ნატო გელაშვილის სიმღერა „სულელი წვიმა“ იმღერა და ჟიურისგან ყველაზე დაბალი შეფასებები დაიმსახურა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ১



შვეულად: 1. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა; 2. ებრაელთა მოყვარული ადამიანი; 3. ყვავილოვანი კომბოსტოს ერთ-ერთი სახეობა; 5. გერმანელი ექიმი, თეოლოგი, მისიონერი, მუსიკათმცოდნე, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. უტიფარი, ურცხვი, მოურიდებელი ადამიანი; 9. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 13. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 15. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 16. პოლიგრაფიული საწარმო; 18. ხორცის შესაწვავი მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი.

თარაზულად: 4. ქართველი საბავშვო მწერალი ქალი; 6. იტალიელი არქიტექტორი თბილისში, მშრალი ხიდის პროექტის ავტორი; 8. ქიზიყის ძველი სახელწოდება; 10. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 11. პროვინციის მმართველი თურქეთში; 12. ცხარე საწებელი; 14. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 17. გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 19. ქეიფი, დროსტარება; 20. გონებასუსტი ადამიანი; 21. ჯიხვების ჯოგი; 22. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 23. პატარა სამკუთხა ალამი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა